



ვლადიმერ

გოგოლაძე

VLADIMIR GOGOLADZE



გიორგი ფრანგიშვილი



ქართული ოლიმპიური ჩემპიონები
GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS



პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF
Elguja Berishvili

პროექტის მენეჯერი
ემზარ ზენაიშვილი

THE PROJECT MANAGER
Emzar Zenaishvili

პროექტის კოორდინატორი
რუსუდან აფციაური

THE PROJECT COORDINATOR
Rusudan Aptsiauri

ტექსტი
გიორგი ფრანგიშვილი

TEXT
Giorgi Prangishvili

დიზაინი
ვახტანგ შატაიძე

DESIGN
Vakhtang Shataidze

რედაქცია
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,
კარლო ფაჩულია, ზაალ ანჯაფარიძე, ინგა ალავეიძე,
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი, ჯემალ კასრაძე,
ვლადიმერ როდიონოვი, www.sportphoto.ge


PHOTO
**Aleksandre Kotorashvili, Jemal Kasradze,
Vladimir Rodionov, www.sportphoto.ge**

პარტნიორები
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა
საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია

PARTNERS
**Georgian National Olympic Committee
Olympic Solidarity of the International Olympic Committee
United Gymnastic Federation of Georgia**

ISSN 2233-3096
ISBN 978-9941-0-4159-4

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები



ვლადიმერ გობოლაძე

2012



ფორტუნა

— ტანმოვარჯიშეთა ოლიმპიური ტურნირის დაწყებამდე ერთი დღელა რჩებოდა, მე კი ჯერაც არ ვიცოდი, მოვხვდებოდი თუ არა ძირითად გუნდში. ღამეები არ მეძინა, მთელ ჩემ კარიერაზე ვფიქრობდი. განვლილ წლებზე, გაუთავებელ ტრავმებზე, პირადი მწვრთნელის შრომაზე. ისიც აქ იყო, სეულში, თუმცა ვერაფრით ვერ მეხმარებოდა. ნაკრების საბოლოო შემადგენლობა უფროს მწვრთნელს, ლეონიდ არკაევს უნდა დაესახელებინა. ექვსიდან ხუთის ვინაობა უკვე ცნობილი იყო. ახლა არჩევანი ჩემსა და ვალენტინ მოგილნის შორის უნდა გაეკეთებინა. მოსკოველი ტანმოვარჯიშე შედარებით გამოცდილი იყო, ტიტულებიც მეტი ჰქონდა. ევროპული ჩემპიონატის მრავალჯერადი მოპოვებული ბრინჯაო — აი, საერთაშორისო შეჯიბრებებში ჩემი საუკეთესო შედეგი. მოგილნიმ იმ ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულსაც ფლობდა და მსოფლიოს თასსაც.

სამხრეთ კორეაში გამგზავრებამდე, სსრკ-ის ნაკრების კანდიტატების შესარჩევად, ბოლო ოფიციალური ასპარეზობა ივლისის მიწურულს, მოსკოვში გაიმართა. საკავშირო თასის გათამაშება და ქვეყნის ჩემპიონატი ცალკეულ იარაღებზე ერთდროულად ჩატარდა. მრავალჯერადი ვალენტინმა მეოთხე ადგილი დაიკავა, მე — მომდევნო. მე ტაიჭზე, რგოლებზე და თავისუფალ ვარჯიშში მოვხვდი პრიზიორებში, მან კი ბრინჯაო ორძელზე და ღერძზე მოიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ არმიელთა შემადგენლობაში გუნდურ ჩათვლაშიც გავიმარჯვე, შანსები მაინც დაახლოებით თანაბარი გვექონდა.

სეულში არკაევმა შვიდი სპორტსმენი ნაგვიყვანა, ერთი ზედმეტია. ვინ იქნება ის ერთი?

შარშან, იუგოსლავიაში, მსოფლიო უნივერსიადაზე გუნდის ლიდერი ვიყავი. მწვრთნელები ექვს მედალს მიგეგმავდნენ, მაგრამ წინა სალამოს, ზაგრებშივე, მძიმე ტრავმა მივიღე და იური კოროლიოვმა შემცვალა. ის მედლები, მათ შორის — ხუთი ოქროსი, მან ირგუნა. მოგვიანებით, იმავე მიზეზით ვერ გამოვედი როტერდამის მსოფლიოს ჩემპიონატზეც. ამჯერად ჩემპიონის ტიტული ვალენტინ მოგილნიმ დაისაკუთრა.

ახლაც, ამ ოლიმპიადაზეც უმედლოდ დარჩენა, მეტისმეტი იქნება!

სპორტსმენების აბსოლუტურ უმრავლესობას ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის შანსი ერთხელ თუ ეძლევათ. 1984 წელს ლოს-ანჯელესის ოლიმ-

პიადას საბჭოელებმა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებმაც ბოიკოტი გამოუცხადეს. რამდენს გაუცრუვდა მაშინ იმედები! ოთხი წლის შემდეგ, ბარსელონის ოლიმპიადისთვის, ვინ იცის, როგორ ფორმაში ვიქნები, ან საერთოდ, დავრჩები კი მანამდე ტანვარჯიშში? არავინ იცის, რა მოელის მომავალში. ჩემი შანსი სეულია.

ისიც ვიცი, რომ დღეისთვის საბჭოთა ნაკრები უძლიერესია მსოფლიოში და თუ ექვსეულში დამაყენებენ, სულ ცოტა, გუნდურ ჩათვლაში მაინც გახდები ოლიმპიური ჩემპიონი, შემდეგ კი ცალკეულ იარაღებზეც მაქვს ოქროს მოპოვების იმედი, განსაკუთრებით ლერძზე და თავისუფალ ვარჯიშში.

ნათქვამია, სპორტში უძლიერესები იმარჯვებენო, მაგრამ თუ კაცს ბედი არ გწყალობს, არაფერი გამოგივა. იმავე იური კოროლიოვმა ოლიმპიური სეზონის დასაწყისშივე დაიბევა ადგილი საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში, ოლიმპიადამდე სამი კვირით ადრე კი ტრავმა მიიღო და სპორტული კარიერა ისე დაასრულა, ცხოვრების მთავარი ოცნების ასრულება, ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულის მოპოვება, ვერ შეძლო.

მსგავსი მაგალითები ტანვარჯიშში საკმაოდ ბევრია. ჩვენს რუსუდან სიხარულიძესაც იგივე შეემთხვა. ოლიმპიურ თამაშებამდე მცირე ხნით ადრე ფეხი იტკინა და ვერც ის გაემგზავრა მიუნხენში. საბჭოთა ნაკრებმა მაშინ ოქროს მედლები მოიპოვა. მოგვიანებით, რუსუდანი მსოფლიოს ჩემპიონი კი გახდა, თუმცა ოლიმპიურ კვარცხლბეკზე ასვლა არც მას არ ეწერა.

აღბათ ყველასთვის გასაგებია, რა დღეში ვიყავი, სპორტსმენებისთვისაც და რიგითი გულშემატკივრებისთვისაც — ვინც შრომის ფასი იცის, ვისაც ოფლი დაუღვრია. სეულამდე თითქმის თხუთმეტი წელი ერთად მოვდიოდით მე და ჩემი მწვრთნელი, არნოლდ კვეტენაძე. ვიცი, არც მას ეძინა.

მე თუ მოგილნი? ჩვენ ორს შორის რომელს აირჩევს არკაევი, ვის გაუღიმებს ფორტუნა?

ხასიათი

რვა წლის იყო, ტანვარჯიშზე რომ მივიდა. მანამდე ცურვაზე დადიოდა, მშობლებმა ფორტეპიანოშიც მოსინჯეს, მაგრამ ლადოს ერთ ადგილზე გაჩე-



რება შეუძლებელი აღმოჩნდა, სკამზე ჯდომაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. სკოლაში, ფიზკულტურის გაკვეთილზე, მწკრივის ბოლოში იდგა, ყველაზე დაბალი იყო, თუმცა გოგი მასწავლებელს სწორედ ეს ბიჭი მოუვიდა თვალში. ნაცნობ მწვრთნელს, არნოლდ კვეტენაძეს, ლადოს აყვანა მან ურჩია.

კარგი ტანმოვარჯიშეები არც ადრე აკლდა, მაგრამ საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული მწვრთნელი გულის სიღრმეში გრძნობდა, რომ უფრო მაღალი შედეგების მოსაპოვებლად ახალი ტალანტები სჭირდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ჩანაფიქრის ასრულება ნულიდან დაიწყო. თბილისის სკოლებს დაუყვა, ადგილობრივი პედაგოგების მაგივრად თავად ატარებდა ფიზკულტურის გაკვეთილებს. ზოგჯერ საკუთარ ხელფასსაც უყოფდა, ბავშვებთან მუშაობის და მათი შერჩევის საშუალება რომ ჰქონოდა.

პლენხანოვის გამზირზე, რკინიგზელთა სახლის სხვენში, ბავშვების სავარჯიშოდ მოწყობილ პატარა კუთხეს დარბაზი პირობითად ეთქმოდა — ტანმოვარჯიშეთა სტანდარტული ზომის (12 მ X 12 მ) ხალიჩა ბოლომდე არც იშლებოდა. სწორედ აქ შეკრიბა ახალგაზრდა მწვრთნელმა არნოლდ კვეტენაძემ თავისი რჩეულები და მათ შორის ვლადიმერ გოგალაძეც.

არნოლდ კვეტენაძე (სსრკ დამსახურებული მწვრთნელი): „იმ გაზაფხულს ათასამდე მოზარდი გავსინჯე. პირველ-მეხუთე კლასელებს შორის ვეძებდი გამორჩეულად ნიჭიერებს. საბოლოოდ, 22 ბავშვი დავიგულე. ლადო თბილისის მე-100 საშუალო სკოლაში სწავლობდა. ძალიან დამეხმარა სკოლის მაშინდელი დირექტორი დიმიტრი შალამბერიძე. ჩემი თხოვნით, იქაური მასწავლებელი ზაფხულამდე სპეციალურ ვარჯიშებს უტარებდა, არდადეგების დროს კი იმ პატარა დარბაზში გავაგრძელებდი წვრთნა. საკმაოდ კარგი ბავშვები მყავდა, პერსპექტიულებიც იყვნენ, თუმცა ზოგი სხვადასხვა მიზეზით აცდენდა ვარჯიშებს, ლადო სისტემატურად დადიოდა. ცოცხალი ბავშვი იყო, ყველაფერს ადვილად ითვისებდა. სულ მალე უკვე ორმაგ საღტოს დაეუფლა. ორი თვე ვივარჯიშეთ თბილისში, შემდეგ კი სოხუმში, საზაფხულო ბანაკში გავაგრძელებდი წვრთნა. მცირე დროში იმდენი რამ ისწავლა, რომ შესამჩნევად გაუსწრო თანატოლებს. აშკარა იყო, ლადოსგან კარგი ტანმოვარჯიშე დადგებოდა და თუ საქმეს სერიოზულად მოეკიდებოდა, დიდ შედეგებსაც მიაღწევდა. აკი, თავიდანვე ვუთხარი მის მშობლებს, რომ ლადოს ოლიმპიურ ჩემპიონს გავხდიდი და დავიფიცე კიდევც.“





მომდევნო წლის დასაწყისში პირველად მივიღეთ მონაწილეობა მოსწავლეთა საკავშირო ასპარეზობებში. „ოდესის გაზაფხულს“ სპეციალისტები მომავალი ვარსკვლავების შეჯიბრებებსაც ეძახდნენ. პრაქტიკულად, იქ ახალ ტალანტებს არჩევდნენ. მათი მხედველობის არეში ჩემი შეგირდიც მოხვდა. ლადომ მეხუთე ადგილი დაიკავა, ამასთან, თავისუფალი ვარჯიში ისე ლამაზად შეასრულა, რომ საბჭოთა კავშირის მოზარდთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ბორის მიხეევმა, სხვა პერსპექტიულ თანატოლებთან ერთად, თავის გუნდში მიიწვია.

ასეთ მონაფესთან მუშაობა ყველასთვის სასიამოვნოა. წესიერი ბავშვი იყო, ოჯახში გაზრდილი. მოსმენაც იცოდა და დავალების ზუსტად შესრულებაც. ჩემი ყოველთვის სჯეროდა, თუმცა ზოგჯერ ხასიათს გამოაჩენდა... ტოლიატში ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე გამოვდიოდით. ოთხი სახეობის შემდეგ ლიდერობდა. უახლოეს მდევარს, ალმა-ათელ ვალერი ლიუკინს 0,7 ქულით უსწრებდა, მაგრამ ტაიჭზე ვარჯიშის დროს ხელი აუსხლტა და იარაღიდან ჩამოვარდა. შევატყვე, ანერვიულდა, ვარჯიშის გაგრძელებას არ აპირებდა. ქვევიდან წყნარად დაუფიქსა:

— დამშვიდდი და ვარჯიში გააგრძელე!

არ დამიჯერა, გაუნძრევლად იდგა. ისევ გავძახე:

— დაასრულე გამოსვლა!

მაინც არ დაამთავრა, ფიცარნაგიდან ჩამოვიდა. ტაიჭზე 7,9 ქულა დაუნერეს და საბოლოოდ მეოთხე ადგილი ერგო. სიმწრის ცრემლის გემო მაშინ გაიგო.

არაფერი არ მითქვამს, მხოლოდ ჩემთვის გავიფიქრე: „რა ჯიუტი ყოფილა“. მოგვიანებით, როდესაც ისევ გამიძალიანდებოდა ხოლმე, ტოლიატის შეჯიბრებას ვახსენებდი.

როგორც წესი, მწვრთნელებს მორჩილი სპორტსმენი უყვართ, მაგრამ თუ კაცს ხასიათი, საკუთარი „მე“ არა აქვს, მისგან დიდი ჩემპიონი არ გამოვა. ლადო ამ მხრივაც გამორჩეული იყო.

ათვისების საოცარი უნარი ჰქონდა, თავადაც უხაროდა ყველაფერი, ადვილად რომ გამოსდიოდა და ლაღად ვარჯიშობდა, ზოგჯერ ზედმეტადაც.

ერთ-ერთი საკავშირო პირველობისთვის ღერძზე ახალ კომბინაციას ვამზადებდით. ჩვეულებისამებრ სწრაფად აითვისა და შედეგით კმაყოფილი,

დახტომის შემდეგ ყირაზე გადადიოდა ხოლმე. რამდენიმეჯერ გავაფრთხილე, რომ ბოლო მოძრაობა მკაფიოდ დაეფიქსირებინა და ნუ ცვლქობდა, ის კი მაინც აგრძელებდა თავისას.

სპეციალისტებმა იციან, ხალისიან ვარჯიშს ბევრი დადებითი მომენტი აქვს, მაგრამ ამ თამაშ-თამაშში ლადოს პირობითი რეფლექსი ჩამოუყალიბდა და როდესაც პირველივე შეჯიბრებაზე ის ახალი კომბინაცია დაასრულა, ინსტიქტურად კვლავ ყირამალა მიაყოლა. ბუნებრივია, მსაჯებმა ზედმეტი მოძრაობა შეცდომად ჩაუთვალეს და 0,5 ქულა ჩამოაკლეს. არც ამჯერად არ დავსაჯე, კიდევ ერთი გაკვეთილი თავად მიიღო.“

ნოლიკოს გაკვეთილები

მწვრთნელის ტაქტს და ალლოს, სპორტსმენთან მის მოზომილ ურთიერთობას, გნებავეთ სიმკაცრესა თუ მომთხროვნელობას, ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. დიდწილად სწორედ მწვრთნელის საზრიანობასა და უნარზეა დამოკიდებული საბოლოო შედეგი. არნოლდ კვეტენაძეს, აქ ჩამოთვლილი თვისებების გარდა, სხვაც ბევრი აღმოაჩინდა, რაც ალბათ უფრო ბუნებრივი ნიჭია, ვიდრე წიგნებში ამოკითხული.

იმ პერიოდში, როდესაც კვეტენაძე-გოგოლაძის ტანდემი ყალიბდებოდა, ბატონი არნოლდის დახმარება კიდევ ერთ ნიჭიერ სპორტსმენს, რუსუდან სიხარულიძეს დასჭირდა. გოგონებთან მას მანამდე არასდროს უმუშავია, მაგრამ ბათუმელ ტანმოვარჯიშეს იმდენად უნდოდა მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებით გამოსვლა, უარი ვერ უთხრა.

რუსუდან სიხარულიძე (მსოფლიოს ჩემპიონი): „დანამდვილებით ახლა ვერავინ იტყვის, გავხდებოდი თუ არა მსოფლიოს ჩემპიონი, რომ არა არნოლდ კვეტენაძე, მაგრამ ის კი შემიდლია აღვნიშნო, რომ მან ძალიან ბევრი რამ მასწავლა და გზა გამიკვლია დიდ სპორტში.“

იმ პერიოდში საბჭოთა ქალთა ნაკრები მსოფლიოში საუკეთესო იყო და გუნდში მოსახვედრად თითოეულ ადგილზე ოცამდე კანდიდატი იბრძოდა. ლიუდმილა ტურნიშჩევას, ოლგა კორბუტის, ელვირა საადის, ნელი კიმისა და სხვა აღიარებული ვარსკვლავებისთვის კონკურენციის განწევა საკმაოდ რთუ-

ლი იყო. ქართველ ტანმწვანეებს ამ გრანდების გვერდით ტყუილუბრალოდ არავინ დამაყენებდა, მაგრამ ნოლიკომ (ბატონ არნოლდს დღესაც ასე ვეძახით) იმდენად კარგად მომამზადა, რომ ჯერ საკავშირო ჩემპიონატზე გავიმარჯვე, ხოლო შემდეგ, ჩვენს ნინა დრონოვასთან ერთად, ვარნის მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოვიპოვე.

კვეტენაძემ ძალიან კარგად იცოდა ტანმწვანეების ტექნიკა. იგი ჯერ თავად გააკეთებდა რომელიმე ახალ ვარჯიშს და მხოლოდ ამის შემდეგ აუხსნიდა სპორტსმენს. რთულ ილეთებს ნელ-ნელა, მიმყვანი ვარჯიშებით შეგვასწავლიდა, დატვირთვებსაც ზომიერად ზრდიდა. ამასთან, გადმოცემის საოცარი უნარი ჰქონდა. უაღრესად ტაქტიანი იყო, არასოდეს არ გამჯავრებია, არ უწყენინებია ჩემთვის. მიუხედავად იმისა, რომ მომთხოვნი იყო, ცდილობდა გაეთვალისწინებინა ჩემი განწყობა, ხასიათი. მწვრთნელის ხედვა ჰქონდა, ვარჯიშებს ტექნიკურად სწორად აწყობდა.

ბათუმში თავიდან ანგელინა გაბრიაძესთან დავიწყე ვარჯიში, მაგრამ რომ წამოვიზარდე, უკვე ვაჟთა ტანმწვანეების დონის სირთულეები მჭირდებოდა და მან თავად მოითხოვა, რომ არნოლდ კვეტენაძის ხელმძღვანელობით გამეგრძელებინა წვრთნა. თბილისში ორივე ერთდროულად მუშაობდა ჩემთან. საერთო მიმართულება ქალბატონ ანგელინას მიჰყავდა, ხოლო ახალ ელემენტებს ბატონი არნოლდი მასწავლიდა.

70-იანი წლებისთვის ქალთა ტანმწვანეებში ძალიან გაიზარდა მოთხოვნები. თავისუფალ ვარჯიშში რთული აკრობატიკა შემოვიდა, ხოლო ჩვენს ორქელზე უკვე ვაჟთა ლერძის მსგავს ელემენტებს აკეთებდნენ. მე ორქელი განსაკუთრებით მიჭირდა, რადგან ფიზიკურად სუსტი ვიყავი. დახმარება მჭირდებოდა თავისუფალ ვარჯიშშიც. ამასთან, საბჭოთა ნაკრებში ისე არჩევდნენ სპორტსმენებს, რომ გუნდური პირველობის გარდა ცალკეულ იარაღებზეც უნდა აგელო მედალი. არნოლდ კვეტენაძემ კი იმდენად კარგად მომამზადა, რომ ვარნაში, ლერძზე 9,75 ქულა დავიმსახურე, ხოლო მსოფლიოსა და საკავშირო ჩემპიონატების მედლები თავისუფალ ვარჯიშში მოვიპოვე. ასე რომ, ნოლიკომ ძალიან დიდი როლი ითამაშა ჩემს სპორტულ კარიერაში და ამ ოქროს მედლებში მისი მნიშვნელოვანი წვლილიც არის.

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კვეტენაძესთან ვარჯიშის გაგრძელება კიდევ მინდოდა, მაგრამ მას უკვე ჩემთვის არ ეცალა, ლადოსთვის უნდა

მიექცია ყურადღება. ტანვარჯიშში რომელიმე ერთ სპორტსმენთან წლობით მუშაობენ მწვრთნელები, ამიტომ მისთვის ძნელი იყო თავისუფალი დროის გამონახვა. რა იცოდა მაშინ, რომ მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი ეჯდა სკამზე, თორემ ალბათ არც იმ დროს დაკარგავდა ჩემთვის. ბავშვი მორიდებით ელოდებოდა, როდის გათავისუფლდებოდა მწვრთნელი.

ლადო ბუნებრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული. მაღალი ფეხები, გრძელი კისერი, არაჩვეულებრივად „ანყობილი“ იყო. რასაც აკეთებდა, ყველაფერი ძალიან ლამაზად გამოსდიოდა. მას ტანვარჯიშის კარგი სკოლა ჰქონდა გავლილი. ამას სპორტის ჩვენს სახეობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. როგორც ბალეტში, სოლისტისთვის აუცილებელია დახვეწილი, კლასიკური სკოლა, ასევეა ჩვენთანაც. შეიძლება ტანმომწვრთნელის ილეთებსაც აკეთებდეს, ძლიერიც იყოს, მაგრამ თუ ის სკოლა არა აქვს, უმაღლესი კლასის ოსტატი ვერ გახდება. გოგოლაძე უბრალო ილეთებსაც მოხდენილად ასრულებდა. მისი „დელასალი“ ნამდვილი საოცრება იყო. თავისუფალ ვარჯიშში ახლა სხვებიც აკეთებენ ამ კომბინაციას, მაგრამ ისინი აკეთებენ, ლადო კი — ასრულებდა, მაღალი ამპლიტუდით, სწორი ხაზებით, ნაკლს ვერ უპოვნიდით. მას ყოველთვის ტაშით აჯილდოებდნენ. ლადო ლამაზი ტანმომწვრთნელი იყო.“

რვა წლის იყო, ტანვარჯიშზე რომ მივიდა. მანამდე ცურვაზე დადიოდა, მშობლებმა ფორტეპიანოშიც მოსინჯეს, მაგრამ ლადოს ერთ ადგილზე გაჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა, სკამზე ჯდომაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. სკოლაში, ფიზკულტურის გაკვეთილზე, მწკრივის ბოლოში იდგა, ყველაზე დაბალი იყო, თუმცა გოგი მასწავლებელს სწორედ ეს ბიჭი მოუვიდა თვალში. ნაცნობ მწვრთნელს, არნოლდ კვეტენაძეს, ლადოს აყვანა მან ურჩია.

სანთლით საქებარი

საბჭოთა ტანმომწვრთნელების ოლიმპიური დებიუტი 1952 წელს, ჰელსინკში შედგა: გუნდური ტურნირიც და აბსოლუტური პირველობაც, მათი გამარჯვებით დასრულდა. იგივე განმეორდა მომდევნო, მელბურნის თამაშებზეც, მაგრამ შემდეგ საბჭოელები ამომავალი მზის ქვეყნის ჩრდილში მოექცნენ. გასული საუკუნის 60-70-იან წლებში მსოფლიო არენაზე იაპონელი ტანმომწვრთნელები დომინირებდნენ. რომის ოლიპიადიდან მოყოლებული, მონრეალის ასპარეზობების ჩათვლით, ყველა ოლიმპიურ ტურნირში აზიელები იმარჯვებდნენ. ისინი უძლიერესები იყვნენ აბსოლუტურ პირველობაშიც, 1972 წელს, მიუნხენში კი კვარცხლბეკის სამივე საფეხური მთლიანად იაპონელმა ტანმომწვრთნელებმა დაიკავეს. აშკარა იყო მათი უპირატესობა ბოლო ოცწლეულის მსოფლიოს ჩემპიონატებზეც. საბჭოელებს ქრონიკულად მეორე



ადგილი დასჩემდათ. საჭირო გახდა რადიკალური ცვლილებები. 1973 წელს ნაკრებს სათავეში ჩაუყენეს ახალგაზრდა, მაგრამ პრინციპული და საკმაოდ მკაცრი მწვრთნელი ლეონიდ არკაევი.

არკაევი თავის დროზე ურიგო ტანმოვარჯიშე არ ყოფილა. ბორის შახ-ლინთან, იური ტიტოვთან, მიხეილ ვორონინთან და სხვა ცნობილ ოსტატებთან ერთად ვარჯიშობდა. საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის მედალსაც ფლობდა, 1966 წლის დორტმუნდის მსოფლიოს ჩემპიონატზე კი სათადარიგოდ წაიყვანეს და სულ ცოტა დააკლდა, რომ დასავლეთ გერმანიიდან გუნდურის ვერცხლი წამოეღო. მან საკუთარ თავზე გამოსცადა, რას ნიშნავდა ნაკრებში მეშვიდე ნომრად ყოფნა. ვალენტინ მოგილნისა და ვლადიმერ გოგოლაძეს შორის არჩევანის გაკეთება მისთვის რთული უნდა ყოფილიყო.

ლეონიდ არკაევი (სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი): „მე, როგორც ნაკრების უფროსი მწვრთნელს, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ვლადიმერ გოგოლაძეს ექვსეულში დავაყენებდი. მან ეს თავად დაიმსახურა თავისი სტაბილური შედეგებით.“

გუნდის დაკომპლექტებისას ჩემთვის რამდენიმე პრინციპი მქონდა. მთავარი წმინდა სპორტული მომზადება იყო. ამ მხრივ ლადო ვალენტინ მოგილნისაც და სხვა კონკურენტებსაც ჯობდა. გარდა ამისა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდი ნებისმიერ პროგრამას. გოგოლაძის პროგრამა ერთ-ერთი საუკეთესო იყო. და ბოლოს, გუნდის შესაკვრელად მე მჭირდებოდა დისციპლინირებული, შრომისმოყვარე, მეგობრული ბიჭები. ყველა ამ პარამეტრებით, ლადო ეჭვს არ იწვევდა. მან სავსებით ღირსეულად დაიკავა კიდეც ადგილი ოლიმპიურ ნაკრებში.

ვისაც თავისუფალ ვარჯიშში მისი სამმაგი საღტო უნახავს, არასდროს დაავინყდებია. მაშინ სამმაგს მხოლოდ ლადო და ვალერი ლიუკინი ასრულებდნენ, თუმცა ქართველი ტანმოვარჯიშე გაცილებით ლამაზად გამოიყურებოდა ხალიჩაზე. საერთოდ, გოგოლაძეს არსენალში უაღრესად რთული ილეთები ჰქონდა. ღერძზე რვა ელემენტს ასრულებდა ცალ ხელზე. ოცი წელი გავიდა მას შემდეგ და იგივეს მხოლოდ ორ ხელზე თუ აკეთებენ, ლადოს კი ამ ბრუნებისთვის ერთი ხელიც ჰყოფნიდა. ეს იმდენად რთული იყო, რომ ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციამ, ტრავმის თავიდან აცილების მიზნით, ოთხ ბრუნზე მეტის შესრულება აკრძალა. სინამდვილეში, ამ აკრძალვის




მიზეზი თავად გოგოლაძე იყო, რომელიც თავისი ზერთული ელემენტებით პრაქტიკულად ყველა შეჯიბრებას მოიგებდა.

თბილისელი სპორტსმენი თავიდანვე მომეწონა თავისი შრომისმოყვარეობით. თუ არ ვცდები, ლადო 1982 წელს გავიცანი. ნაკრებში სერიოზულ ყურადღებას ვაქცევდით დიდი დატვირთვების შეჩვევის უნარს. როდესაც ვეკითხებოდი, ხომ არ დაილაღე, ლადო? ყოველთვის მპასუხობდა: ისე რა, ცოტათი. იგი პატიოსნად მუშაობდა ნებისმიერ იარაღზე. ვარჯიშებზე სრულად იხარჯებოდა და რასაც დავავალებდი, ბოლომდე მიიყვანდა. მას ძალიან კარგი მონაცემები და, რაც მთავარია, ტანმოვარჯიშისთვის საჭირო ჩინებულის სკოლა ჰქონდა. იყო წესიერი, ზრდილი ჭაბუკი, თავში არ ავარდნია ქვეყნის მთავარ გუნდში ჩარიცხვა. ასეთ სპორტსმენებს, რომ იტყვიან, სანთლით ეძებენ მწვრთნელები.“

აქილევსის ქუსლი

1982 წლის შემოდგომაზე თბილისში ჩატარდა ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა საკავშირო პირველობა. ლეონიდ არკაევმა სწორედ მაშინ დაიწყო სეულის ოლიმპიადისთვის პერსპექტიული ჭაბუკების შერჩევა. ჩვენი სპორტის სასახლის არენაზე ვლადიმერ გოგოლაძე ჯერ კიდევ სპორტის ოსტატობის კანდიდატის პროგრამით გამოდიოდა. მასთან ერთად ასპარეზობდა ლენინსკ-კუზნეცკელი ვალენტინ მოგილნიც. საბჭოთა ნაკრების მწვრთნელები ორივეს აკვირდებოდნენ. იმ შეჯიბრებაზე მრავალჭიდში მოგილნიმ იმარჯვა. ის საუკეთესო იყო ორძელსა და ლერძზეც. ლადომ თავისუფალ ვარჯიშში მოიპოვა პირველობა, ხოლო მისმა თანაგუნდელმა ამირან ბერიანიძემ ბჯენითი ხტომები მოიგო. სეულის ოლიმპიადის კიდევ ერთმა მომავალმა ჩემპიონმა, ალმა-ათელმა ვალერი ლიუკინმა რგოლებზე დაიმსახურა ყველაზე მაღალი შეფასება.

მკაცრმა არკაევმა, ტრადიციისამებრ, ახლაც კრიტიკულად შეაფასა ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეების გამოსვლა და მათი მწვრთნელების საქმიანობაც. მედალოსანთაგან მან ვალენტინ მოგილნი გამოყო, ხოლო ლადოს მწვრთნელს და სხვებსაც ურჩია, მეტი ყურადღება დაეთმოთ ფიზიკურ მომზადებაზე.





ლადოს აქილევსის ქუსლი, მართლაც, სუსტი ფიზიკური მომზადება იყო. თავადაც იცოდა ამის შესახებ და ნაკლის გამოსასწორებლად ბევრს მუშაობდა. ორი წლის შემდეგ, როდესაც თბილისის სპორტის სასახლეში კვლავ შეიკრიბნენ ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეები, იგი უკვე ყველაზე სოლიდურად გამოიყურებოდა და როგორც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს შეშვებოდა, ორიგინალური პროგრამითაც დაამახსოვრა თავი მრავალრიცხოვან მაყურებლებსაც და სპეციალისტებსაც. იმ ზაფხულს თბილისში საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდების სამატჩო შეხვედრა მოეწყო. ჩვიდმეტი წლის ქართველი ტანმოვარჯიშე თავიდანვე დანიშნურდა — მრავალჭიდში, რგოლებსა და ბჯენით ხტომებში საუკეთესო შედეგი აჩვენა. ამირან ბერიანიძე მეორე იყო, ვალერი ლიუკინმა და იური კირიჩენკომ მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს.

„ღელასალი“

ის სეზონი, 1984 წელი, ლადოსთვის გამორჩეულად იღბლიანი გამოდგა. ხუთ პრესტიჟულ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და ოთხში სხვადასხვა ხარისხის მედლები მოიპოვა. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ევროპის ახალგაზრდული პირველობა, რომელსაც ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, იტალიის პატარა საკურორტო ქალაქი რიმინი მასპინძლობდა. წინა სამ ტურნირში მომავალმა დიდმა ჩემპიონებმა — ზოგდან მაკუცმა, იური კოროლიოვმა და დიმიტრი ბილოზერჩევმა გაიმარჯვეს. სსრკ ახალგაზრდული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, მრავალგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნიკოლაი ანდრიანოვმა დასკვნითი შეკრება ტანვარჯიშის ერთ-ერთ აღიარებულ ცენტრში — ვლადიმირში მოაწყო და საიტალიოდ შეარჩია თბილისელი ვლადიმერ გოგოლაძე, მოსკოველი სერგეი გუსევი და ჩერკასკელი რავილ ადეევი.

რიმინში 25 ქვეყნის ტანმოვარჯიშეები ჩავიდნენ, ასპარეზობები მხოლოდ ნებისმიერი პროგრამით ტარდებოდა. ქართველი სპორტსმენი პირველ ცვლაში, დილით გამოდიოდა, რაც მეტოქეებს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა. ამის მიუხედავად, ლადომ რთული პროგრამა პრაქტიკულად უშეცდომოდ შეასრულა და მაღალი შეფასებაც დაიმსახურა. ყველაზე მეტი — 9,8

*ვლადიმერ გოგოლაძე და
მისი მწვრთნელი
არნოლდ კვეტენაძე*

ქულა ღერძსა და თავისუფალ ვარჯიშში მიიღო და ოქროს მედლებსაც აქ დაეუფლა. მრავალჭიდაში მან 58,0 ქულა მოაგროვა, რაც გამარჯვებულის, სერგეი გუსევის შედეგზე 0,15-ით ნაკლები აღმოჩნდა. მაყურებლებმა პირველად სწორედ იტალიაში იხილეს თავისუფალ ვარჯიშში ლადოს მიერ შესრულებული ორიგინალური კომბინაცია „დელასალი“ (ყირაში გაშლილი ფეხებით ასვლა, ჩამოსვლა და კვლავ ასვლა), რომელიც მსოფლიო ტანვარჯიშის ტერმინოლოგიაში დღესაც „გოგოლადის იღეთად“ მოიხსენიება და თანამედროვე ტანვარჯიშის ერთ-ერთ ულამაზეს ელემენტად რჩება.

ევროპის პირველობის შემდეგ, ვლადიმერ გოგოლაძე წარმატებით გამოვიდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, მოგვიანებით კი ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ტრნავაში, „მეგობრობა-84“-შიც მოიპოვა სამივე სინჯის მედალი. მომქანცველი სეზონის ბოლოს ლადომ კიდევ ერთ ტურნირში, საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა XVII სპარტაკიადაში მიიღო მონაწილეობა.

ტაშკენტური მონაგარი

1984 წლის შემოდგომაზე მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადას უზბეკეთის დედაქალაქი მასპინძლობდა. თხუთმეტივე მაშინდელი რესპუბლიკის, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის მოსწავლეები სპორტის 22 სახეობაში გამოვიდნენ. ქართველებს ტრადიციულად ძლიერი გუნდები ჰყავდათ ჭიდაობის სახეობებში, თუმცა მედლებს არა მარტო ჩვენი ფალანგებისგან ელოდნენ.

საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრების უფროს მწვრთნელს, ჰანს ბურჯანაძეს გუნდის ლიდერის, ვლადიმერ გოგოლაძის მდგომარეობა აღელვებდა: არავინ იცოდა, სეზონის ბოლოსთვის შეინარჩუნებდა თუ არა ლადო სპორტულ ფორმას.

ჰანს ბურჯანაძე (საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი (1982-88 წლებში): „მთელი წლის განმავლობაში ფორმაში ყოფნა, თან მაღალ დონეზე, ძალიან ძნელია. ლადოს ხეირიანად დასვენებისა და ძალების აღდგენის საშუალება არ ჰქონია. იგი პრაქტიკულად შეჯიბრებებიდან შეჯიბრებებზე გადა-

დიოდა, შუალედებში კი სხვადასხვა შეკრებებზე ემზადებოდა. ასეთი მკაცრი რეჟიმის პირობებში გადაღლისაგან არავინ არ არის დაზღვეული, მაგრამ ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა. ლიდერის გამოსვლაზე ბევრად არის დამოკიდებული მთლიანად გუნდის წარმატება. ამასთან, ლადო საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრების კანდიდატად ითვლებოდა და თუ ტაშკენტში დაამტკიცებდა თავის ოსტატობას, სეულის ოლიმპიადისკენ პირველ ნაბიჯსაც გადადგამდა. ჩვენ მისი იმედი გვქონდა და გაგვიმართლა კიდევ. ლადო ყველა იარაღზე სტაბილურად გამოვიდა და აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მასთან ერთად მრავალჭიდაში ვალერი ლიუკინმაც გაიმარჯვა, რომელმაც ლადოს მსგავსად 114,2 ქულა მოაგროვა, მაგრამ ჩვენმა ტანმოვარჯიშემ მანაც აჯობა მთავარ კონკურენტს. ლადო საუკეთესო იყო თავისუფალ ვარჯიშში და ღერძზე, რგოლებზე ვერცხლის მედალი დაიმსახურა, ხტომებში კი — ბრინჯაოსი. სსრკ-ის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, ლეონიდ არკაევმა ორივე სპორტსმენი ქვეყნის მთავარ გუნდში მიიწვია.

გოგოლაძე განსაკუთრებით კარგად იყო მომზადებული ნებისმიერ პროგრამაში. წესით, კიდევ ერთი ოქროს ჯილდო ეკუთვნოდა, მაგრამ ყველაფერს ქართველებს ხომ არ გამოგვატანდნენ. მით უმეტეს, რომ რგოლებზე კიდევ ერთმა თბილისელმა სპორტსმენმა, ამირან ბერიანიძემ მოიგო ოქროს მედალი, ხოლო გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა ბიჭებმა მესამე ადგილი დაიკავეს.“

ამირან ბერიანიძე (საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი): „სპარტაკიადაზე ოქროს მედლის მოპოვება ჩემთვის მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო, ვინაიდან ტაშკენტში პრაქტიკულად სსრ კავშირის ყველა ის სპორტსმენი გამოდიოდა, ვისაც ქვეყნის მთავარ გუნდში მოხვედრის პრეტენზია ჰქონდა. მეც, ლადოსაც და ჩვენი ნაკრების სხვა წევრებსაც, ძალიან გაგვიხარდა ბრინჯაოს მედლები, რომლებიც ყველამ ერთად პირველად მოვიპოვეთ.“


...მე და ლადო ტანვარჯიშში თითქმის ერთ პერიოდში მოვედით. მე სპორტსაზოგადოება „შრომით რეზერვებში“ საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ნოდარ ბახუტაშვილი მავარჯიშებდა, გოგოლაძეს კი „ლოკომოტივში“ — ბატონი არნოლდი. როგორც ყველა ბავშვი, ჩვენც ვცვლდებოდით, ვთამაშობდით, დაბადების დღეებსაც ერთად ვიხდიდით. მთელი წლის განმავლობაში ხან შეკრებებზე ვიყავით, ხან ტურნირებზე გამოვდიოდით. ჩვენი სახლი და კარი ლესელიძე იყო. ძირითადად იქ ვემზადებოდით სხვადასხვა ას-

პარეზობებისთვის. თავიდან ლადოზე უკეთესი შედეგები მქონდა, მაგრამ მას უკვე ემჩნეოდა, რომ შორს წავიდოდა. 1981 წელს, კაუნასში გამართულ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე პირველად შევხვდით სეულის ოლიმპიადის მომავალ ჩემპიონს, დიმიტრი ბილოზერჩევს. მასზე უკვე ამბობდნენ, დიდი ტანმოვარჯშე იქნებაო, თუმცა მაშინ მეც და ლადომაც მოვუგეთ.

რომ წამოვიზარდე, ლადო კიდევ უფრო დაიხვეწა. სიმპათიური ბიჭი იყო, გამორჩეულად მოხდენილი ტანი ჰქონდა და გოგონებშიც პოპულარობით სარგებლობდა. მეგობრობაც იცოდა, უკან არაფერზე არ დაიხვედა, ვაჟკაცურად იქცეოდა. ზოგს შეიძლება გაგონილიც აქვს, რომ სეულის ოლიმპიადამდე ერთი თვით ადრე საბჭოთა ნაკრების ლიდერს, დიმიტრი ბილოზერჩევს, გუნდიდან აგდებდნენ. რეჟიმი დაარღვია, დათვრა. ამხანაგებიდან არავინ არ შეაწინა სიტყვა, ზურგი შეაქციეს. ერთადერთი ლადომ დაიცვა მეგობარი, მხარში ამოუდგა. საბოლოოდ, ბილოზერჩევი მაინც წაიყვანეს ოლიმპიადაზე. ამაში ლადოს წვლილიც იყო, თუმცა თავად მისი გამოსვლა სეულის ფიცარნაგზე, ბოლო მომენტამდე გაურკვეველი რჩებოდა.“

ქველავი და ასლები

ვლადიმერ გოგოლაძე: „ოლიმპიადაზე ბავშვობიდანვე ვფიქრობდი, თუმცა მაშინ წესიერად არც ვიცოდი, რას ნიშნავდა სპორტსმენისთვის ამ მასშტაბის შეჯიბრებებში მონაწილეობა. მეც და ჩემმა მწვრთნელმაც ოლიმპიურ თამაშებზე სერიოზულად მაშინ დავინწყეთ საუბარი, როდესაც ტაშკენტის სპარტაკიადის შემდეგ საბჭოთა კავშირის პირველ ნაკრებში მიმიწვიეს. სპეციალისტები ჩემს შესახებ უკვე აღმატებულ ტონში საუბრობდნენ. ამბობდნენ, კარგი ტანმოვარჯიშეა, პერსპექტივა აქვსო. მეც ვგრძნობდი, რომ მონაცემები მქონდა, ზოგი ილეთი სხვებზე უკეთ გამომდიოდა და შემეძლო კარგი შედეგისთვის მიმეღწია. ისიც კარგად ვიცოდი, რომ ოლიმპიურ გუნდში ადგილის მოსაპოვებლად ხანგრძლივი, თავდაუზოგავი შრომა და დიდი ბრძოლა მელოდა. ყველამ იცის, სპორტის ნებისმიერ სახეობაში ქართველ კაცს საბჭოთა ნაკრებში ადგილი რომ მოეპოვებინა, კონკურენტებზე მთელი თავით მაღლა უნდა მდგარიყო.“



ვლადიმერ გოგოლაძე:
„ოლიმპიადაზე ბავშვობიდანვე ვფიქრობდი, თუმცა მაშინ წესიერად არც ვიცოდი, რას ნიშნავდა სპორტსმენისთვის ამ მასშტაბის შეჯიბრებებში მონაწილეობა. მეც და ჩემმა მწვრთნელმაც ოლიმპიურ თამაშებზე სერიოზულად მაშინ დავინწყეთ საუბარი, როდესაც ტაშკენტის სპარტაკიადის შემდეგ საბჭოთა კავშირის პირველ ნაკრებში მიმინვიეს. სპეციალისტები ჩემს შესახებ უკვე აღმატებულ ტონში საუბრობდნენ. ამბობდნენ, კარგი ტანმოვარჯიშეა, პერსპექტივა აქვსო.“

ჭაბუკებიდან საბჭოთა კავშირის პირველ გუნდში რომ გადავედი, იქ ისეთი სიტუაცია დამხვდა, როგორც საბჭოეთის დროინდელ ჯარში იყო. „სტარნიკები“ ახალბედების დაჩაგვრას ცდილობდნენ, ნაკრების ტიტულოვანი წევრები ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ გვაყენებდნენ. მართალია, მე, როგორც ქართველს, ბევრს ვერ მიბედავდნენ, მაგრამ საერთო დაძაბულობა მაინც მოქმედებდა. შეკრებებზე ხანგრძლივად ერთად ვცხოვრობდით, ყოველდღე ერთმანეთს ვუყურებდით და ერთმანეთს ველარ ვიტანდით. რაც შეეხება უფროს მწვრთნელს, ლეონიდ არკაევს, იგი ყოველთვის კარგად მექცეოდა. მან საკმაოდ კარგად იცოდა საქართველოს ისტორიაც და ჩვენი ხასიათიც. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მკაცრი და ჯიუტი იყო, ჩვენ ნორმალური ურთიერთობა გვქონდა. არც ქართველი მწვრთნელები თუ სპორტის ჩინოვნიკები აკლებდნენ ყურადღებას, თუმცა მას თავისი პრინციპები ჰქონდა და ამის გამო ნაკრებში არავის არ მიანიჭებდა უპირატესობას.“

ლეონიდ არკაევი: „საბჭოთა ნაკრებში გოგოლაძე ჰანს ბურჯანაძემ მოიყვანა. იმ პერიოდში იგი საქართველოს ნაკრებს ხელმძღვანელობდა. ლადო პატარა ბიჭი იყო, წყნარი, ვარჯიშებზეც თავიდანვე მორიდებით იქცეოდა. როგორც ჩანს, ვეტერანების ავტორიტეტმა მასზეც იმოქმედა ფსიქოლოგიურად, თუმცა შემდეგ თავადვე ირწმუნა საკუთარი ძალები და გუნდის სრულყოფილებიანი წევრი გახდა. ამხანაგებთან შეგუებაც არ გაჭირვებია.“

გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩვენი ნაკრები ძალიან ძლიერი იყო. გუნდში, პრაქტიკულად, მხოლოდ ვარსკვლავები გვყავდა. ყველას ლიდერობა და გამორჩეული ავტორიტეტის მოპოვება სურდა. ლადო ამ დროს განსაკუთრებულ ყურადღებას და პრიორიტეტს არ ითხოვდა. თავისთვის იდგა და ვარჯიშობდა. ჩვენთვის, მწვრთნელებისთვის სწორედ ასეთი სპორტსმენია ავტორიტეტი და პატივისცემასაც, პირველ რიგში, ასეთი ათლეტი იმსახურებს.

არ ყოფილა შემთხვევა, ლადოს ჩემი დავალება ან რამე განკარგულება არ შეესრულებინოს. გამორჩეულად დამჯერი იყო, ზოგჯერ ზედმეტადაც. ერთხელ სამხრეთ ამერიკის ტურნედან ვბრუნდებოდით. არგენტინაში მან აუდიო მაგნიტოფონი იყიდა და ამ შენაძენით ერთობ ამაყობდა. ასეთ აპარატურას მაშინ საბჭოეთში ვერ იშოვიდი. მაგნიტოფონი საკმაოდ დიდი ზომისა იყო. რატომღაც თვითმფრინავის სალონში შემოიტანა და ვიდრე წყნარ ოკე-

ანეს გადმოვიფრენდით, მთელი გზა ხელში ეჭირა — დაიტანჯა ბიჭი. საბარგო განყოფილებაში ჩაბარება ვურჩიე. თავიდან უარი მითხრა, მაგრამ იგივე ბრძანების ტონით რომ გაეუმეორე, სიტყვა ვედარ შემომიბრუნა. ამ ეპიზოდის დანაც ჩანს, რამდენად დამჯერი და წესიერი პიროვნებაა ვლადიმერ გოგოლაძე.

1985 წელს, ნაკრებში პირველივე ვარჯიშებზე გამოჩნდა, რომ გოგოლაძე უკვე ჩამოყალიბებული ტანმოვარჯიშე იყო, საფუძვლიანი მომზადება ჰქონდა გავლილი. ეტყობოდა, რომ არნოლდ კვეტენაძემ მასთან ერთად კეთილსინდისიერად იშრომა და ეს ჭაბუკი შეძლებდა ქართული ტანვარჯიშული სკოლის ტრადიციების გაგრძელებას.“

პერსონალი და საგზური

ვლადიმერ გოგოლაძის დიდ სარბიელზე გამოჩენას დაემთხვა მკვეთრი ცვლილებები ტანვარჯიშის წესებში. საერთაშორისო ფედერაციამ ცალკეული ილეთების შეფასების ახალი, მკაცრი წესები შემოიღო. კომბინაციების შეფასების **A**, **B** და **C** ჯგუფს, 1985 წლიდან **D** კატეგორია დაემატა, მრავალჭიდისა და ცალკეული იარაღების ფინალებში ამ ზერთული კომბინაციების შესრულება სავალდებულო გახდა.

ქართველი ტანმოვარჯიშე ნოვაციებს განახლებული პროგრამით შეხვდა. ახალი წესებით პირველი საერთაშორისო ტურნირი 1985 წლის გაზაფხულზე მოსკოვში გაიმართა. გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ პრიზის გათამაშება იმ პერიოდში მეტად პოპულარული ასპარეზობა იყო და მასში 30 ქვეყნის 120 სპორტსმენი მონაწილეობდა. სწორედ ამ ტურნირში შედგა ვლადიმერ გოგოლაძის დებიუტი დიდ ფიცარნაგზე და მან ჩინებულად ჩააბარა ეს გამოცდა. ლადომ სამ იარაღზე — ორძელზე, თავისუფალ ვარჯიშში და ღერძზე მოიპოვა ოქროს მედლები, მრავალჭიდში კი მეორე ადგილი დაიკავა. თბილისელმა ჭაბუკმა უპირველესად ყურადღება მიიქცია თავისი თამაში და „რომანტიკული“ კომბინაციებით, რომლებშიც ტანვარჯიშის სული იგრძნობოდა.

კიდევ უფრო შთამბეჭდავი გამოდგა ლადოს გამარჯვება რიგაში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც რამდენიმე დღის





შემდეგ ჩატარდა. რიგის სპორტის სასახლეში ამჯერადაც მსოფლიოს წამყვან ტანმოვარჯიშეთა სოლიდური შემადგენლობა შეიკრიბა, თუმცა გოგოლაძეს კონკურენცია ვერავინ გაუწია და ასპარეზობის მთავარი პრიზი — „ქარვის მხედარი“ მან დაისაკუთრა. ამასთან, გოგოლაძემ ტაიქსა და ლერძზე ვარჯიშში 9,8 ქულა მიიღო. შეფასების ახალი კრიტერიუმებით, ეს ძალიან მაღალი შედეგი იყო. ამ ტურნირში, გოგონათა შორის გამარჯვებულისთვის დაწესებული ჯილდო — „ქარვის დგირი“ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ეკა ზეთურიძემ მოიპოვა.

ამასობაში მოახლოვდა ევროპის ჩემპიონატი, სადაც არნოლდ კვეტენაძის შეგირდს მონაწილეობის დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ კარგად დაწყებული სეზონი ჯერ კიდევ არ იძლეოდა საბჭოთა ნაკრების ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრების გარანტიას. საკუთარი ამბიციები ლადოს ალმათაში, საკავშირო ჩემპიონატზე უნდა დაედასტურებინა.

დიმიტრი ბილოზერჩევთან, ვლადიმირ არტიომოვთან, ბოგდან მაკუცთან და სხვა ტიტულოვან კონკურენტებთან პაექრობა ლადოსთვისაც და ნაკრების სხვა კანდიდატებისთვისაც, ძალზე რთული გამოდგა, თუმცა როგორც სპეციალისტები ვარაუდობდნენ, კორექტივები დროის ფაქტორმა შეიტანა. ახალი სავალდებულო პროგრამის ათვისება, პრაქტიკულად, ჩემპიონატის ვერც ერთმა მონაწილემ ვერ მოასწრო, რის გამოც ზოგი იარაღიდან ჩამოვარდა, სხვები სერიოზულ შეცდომებს უშვებდნენ, იყვნენ ისეთებიც, მთელი კომბინაციები რომ გამოტოვეს. ყაზახეთის დედაქალაქში ბევრ ფავორიტს მოეცარა ხელი. საბჭოთა კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ვლადიმირ არტიომოვმა ბჯენით ხტომებში მხოლოდ 8,2 ქულა მიიღო. კიდევ უფრო დაბალი შეფასება — 7,8 ქულა დაიმსახურა მსოფლიოს ჩემპიონმა, ერევნელმა არტურ აკოპიანმა, ხოლო ოქროს მედლის მთავარმა პრეტენდენტმა დიმიტრი ბილოზერჩევმა ორძელზე ძლივს შეიმავრა თავი და საბოლოოდ მრავალჭიღში ექვსეულშიც ვერ მოხვდა.

დაძაბულ, ნერვულ ბრძოლაში მტკიცე ხასიათი გამოავლინა ქართველმა ტანმოვარჯიშემ. მან განსაკუთრებით სტაბილურად იასპარეზა ნებისმიერი პროგრამით და აბსოლუტურ პირველობაში ვერცხლის მედალთან ერთად კონტინენტის ჩემპიონატის საგზურიც მოიპოვა.

*რუსუდან სიხარულიძე:
„ლადო ბუნებრივი ნიჭით
იყო დაჯილდოებული.
მაღალი ფეხები, გრძელი
კისერი, არაჩვეულებრი-
ვად „ანწყობილი“ იყო. რა-
საც აკეთებდა ყველაფერი
ძალიან ლამაზად გამოს-
დიოდა. მას ტანვარჯიშის
კარგი სკოლა ჰქონდა
გავლილი.“*

ეპროკულ-ქართული ღვაწიუბი

1985 წლის დასაწყისიდან ვლადიმერ გოგოლაძემ ოთხი თვის განმავლობაში რამდენიმე საერთაშორისო თუ საკავშირო ტურნირში მიიღო მონაწილეობა და ოქრო-ვერცხლის გარეშე არ დაბრუნებულა, მაგრამ დაძაბული შეჯიბრებების უწყვეტ სერიას არათუ ახალგაზრდა სპორტსმენები, „დაღვინებული“ ათლეტებიც ვერ უძლებენ. როგორც ჩანს, ოსლოს ევროპულ ჩემპიონატამდე დარჩენილ მცირე დროში ვერც ლადომ მოასწრო ჩვეული სპორტული ფორმის აღდგენა და უძლიერესის ტიტულის ნაცვლად, საპრიზო სამეულისთვის მოუწია ბრძოლა. ამასთან, ნორვეგიაში ვერ გაემგზავრა პირადი მწვრთნელი არნოლდ კვეტენაძე, რომლის რჩევებიც ძალზე დაეხმარებოდა ასპარეზობების მსვლელობის დროს.

კონტინენტის ჩემპიონატები 1955 წლიდან ტარდება. იმ პერიოდისთვის ქართველ ტანმოვარჯიშეებს უკვე ჰქონდათ მოპოვებული ოლიმპიური თამაშებისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატების ოქროს მედლები. მოგვიანებით, 1970-იან წლებში რუსუდან სიხარულიძემ, ნინა დრონოვამ და პაატა შამუგიაძემ დაისაკუთრეს მსოფლიოს ჩემპიონებისა თუ თასის მფლობელების ტიტულები, თუმცა გოგოლაძემდე ევროპის ჩემპიონატზე ქართველთაგან არავინ გამოსულა. ლადომ ოსლოდან მრავალჭიდსა და ორძელზე აღებული ბრინჯაოს ორი ჯილდო ჩამოიტანა.

ღელა

ვლადიმერ გოგოლაძე: „ჩემს სპორტულ კარიერაში არნოლდ კვეტენაძესთან ერთად, ძალიან დიდი როლი ითამაშა დედაჩემმა. პატარაობიდანვე მას დაეყავი ვარჯიშებზე, ლესელიძეშიც თითქმის ყოველ კვირას ჩამოდიოდა შეკრებებზე, სპორტულ ფორმასაც გარეცხილ-დაუთოებულს მახვედრებდა და სხვათა შორის, ნოლიკოსთან „ხელჩათულ“ ბრძოლაში იყო ჩაბმული.“

ღელას უნდოდა მეცნიერი ან ექიმი გამოვსულიყავი, თავის ოცნებებში ჩემს მომავალს ალბათ თეთრ ხალათსა და ხელთათმანებში ხედავდა, თან ფორტეპიანოზე დაკვრა უნდა მესწავლა, ინგლისურიც. ერთი სიტყვით, ტიპი-

ურ ინტელიგენტობას მიგეგმავდა. ამ მხრივ არ გაუმართლა. როგორც ჩანს, ჩემში მაინც სპორტსმენის სული იდო და აქეთ გამოიმინა გულმა.

მიუხედავად იმისა, რომ დედა მუშაობდა, რომ იტყვიან, ხელიდან არ მიშვებდა, სულ თან დამდეგდა, ზოგჯერ მწვრთნელების გადანყვეტილებებშიც აქტიურად ერეოდა... ლეონიდ არკაევმა, ჯერ კიდევ სეულის ოლიმპიურ თამაშებამდე, გვარის გამოცვლა შემომთავაზა. იერით მაინც რუსს ჰგავხარ და რუსულ გვარზე გადმოდი, ნაკრებშიც უფრო ადვილად გაიკაფავ გზასო. დედამ ისეთი კატეგორული უარი უთხრა, არკაევს მეორედ ამ საკითხზე ხმა აღარ ამოულია.

საერთოდ, დედაჩემი ძალიან მკაცრი იყო. ტანვარჯიში არ ეხატებოდა გულზე, მაგრამ არნოლდ კვეტენაძეს იმდენად მოვწონდი, რომ ცოცხალი თავით არ ატანდა ჩემს თავს. მეც გავჯიუტდი, აქ მინდოდა ვარჯიში და დედაც იძულებული გახდა, ჩვენს ნებას დაყოლოდა.

ერთ ზაფხულს ლესელიძეში გვექონდა შეკრება. რატომღაც მაშინ მოდაში შემოვიდა თავის გადახოტვრა. ჭაბუკთა ნაკრების ბიჭებმა, ყველამ ერთად, გადავიპარსეთ თმა და ამით თავს ვინონებდით. სწორედ იმ დღეს ჩამომაკითხა დედაჩემმა თბილისიდან, მე კი დავხვდი საკონცენტრაციო ბანაკის ტუსაღით — გალეული, თვალეზრაცვენილი და თავგადახოტრილი. თავი ვერ შეიკავა, იქვე სკამზე ჩამოჯდა და აქვითინდა.

სული რომ მოითქვა, მითხრა: რა ძალა გადგია შვილო, რატომ იკლავ თავს, ან მე რატომ მტანჯავო. მომიკიდა ხელი და სოფელში, ბებიასთან მივყავდი — ცოტას მაინც მოგაფერიანებს, ფეხზე დადგები, ჯანზე მოხვალო.

ეცნენ მწვრთნელები, არ მიშვებდნენ. ატყდა განევ-გამონევა, აქეთ ესენი, იქით — დედა. ჩემი შვილია და არ დაგითმობთო. ჩაუვარდნენ მუხლებში, ეხვეწნენ. ბოლოს, როგორც იქნა, დამტოვა.

ვიცი, ბევრი წინააღმდეგია მწვრთნელების საქმიანობაში მშობლების ჩარევისა. ახლა მეც მყავს მოზარდების რამდენიმე ჯგუფი და ჩემთვისაც მიუღებელია მშობლების მეტისმეტი აქტიურობა, მაგრამ ტანვარჯიში ძალიან რთული სახეობაა, დიდ შრომას მოითხოვს. ექვს იარაღზე, სრულიად განსხვავებული კომბინაციები უნდა აითვისო. დღეში ორჯერ-სამჯერ ვვარჯიშობდით, ტრავმებიც ხშირად მიმიღია. ამდენად, ჩემთვის გასაგებია, როდესაც მშობლები ასე განიცდიან ყველაფერს.

...ჯერ კიდევ პატარები ვიყავთ, ბატონმა არნოლდმა უკუმაღაცების შესრულება დაგვავალა. ხალიჩაზე მიყოლებით გავრბოდით ბავშვები, ერთმანეთს არ ვაცლიდით და უეცრად ვილაცის ფეხი ძლიერად მომხვდა სახეში. ცხვირი გამიტყდა, წამსკდა სისხლი, სასწრაფოდ საავადმყოფოში გამაქანეს.


დედა რომ მოვიდა დარბაზში და იქ ჩემს მაგივრად სისხლის გუბე დახვდა, გულმა უგრძნო, რაც მოხდა. საავადმყოფოში, ჩემთან ერთად, მასაც ექიმების დახმარება დასჭირდა. ოპერაციის შემდეგ, ბუნებრივია, სახლში წასასვლელად მოვემზადეთ, ნოლიკომ კი ვარჯიშის გაგრძელება მოითხოვა. თავად წარმოიდგენთ, რაც იქ დატრიალდა.“

ტრავმა რომ არა...

ხშირი ტრავმების გამო, ვლადიმერ გოგოლაძემ არაერთი მნიშვნელოვანი ტურნირი გამოტოვა. ოსლოს ევროპული ჩემპიონატის შემდეგ, მსოფლიოს ორ ფორუმზე ვერ გაემგზავრა: ჯერ — იაპონიაში გასამართ უნივერსიადაზე, სეზონის ბოლოს კი — მონრეალის მსოფლიოს ჩემპიონატზეც. განსაკუთრებით გულდასაწყვეტი იყო მსოფლიო ჩემპიონატის გამოტოვება.

ორი წლის წინ, გუნდურ ჩათვლაში ჩინელებმა მოიპოვეს მსოფლიო პირველობა და ახლა ლეონიდ არკაევი გულმოდგინედ ემზადებოდა რევანშისთვის. მაგრამ გუნდში ცუდი ამბები მოხდა: ნაკრების ლიდერი, დიმიტრი ბილოზერჩევი ავტოკატასტროფაში მოყვა და ფეხი მოიტეხა. დაშავდნენ ქვეყნის სხვა უძლიერესი ტანმოვარჯიშეებიც, მათ შორის — გოგოლაძე. თუმცა ნაკრებმა განახლებული შემადგენლობით მაინც მოიგო ჩემპიონატი. ლადოს ნაცვლად, მონრეალის ფიცარნაგზე ვალენტინ მოგილნი გამოვიდა. გუნდურის გარდა, მან ტაიჭზეც და ორძელზეც ოქროს მედლები აიღო.

ორი წლის შემდეგ, ბედის ირონიით, იგივე განმეორდა. უნივერსიადიდან და მსოფლიოს ჩემპიონატიდან საბჭოთა ტანმოვარჯიშეები კვლავ ოქროს მედლებით დაბრუნდნენ, ლადო კი — ილბალი არ გინდა? — ტრავმის გამო, ისევ „თამაშგარე“ მდგომარეობაში აღმოჩნდა



არნოლდ კვეტენაძე:
„რვა წლის იყო ლადო,
ჩემთან ვარჯიში რომ
დავანყებინე. თავიდანვე
ჩაეფიქრე, რომ ამ ბავშვს
დიდ ტანმოვარჯიშედ
გავზრდიდი და ოლიმპიურ
კვარცხლობეკამდე მივიყ-
ვანდი. არც ვმაღავდი
ჩემს განზრახვას, ხმამაღ-
ლა ვამბობდი. მე მჯერო-
და საკუთარი თავისაც და
ლადოსიც. დარწმუნებუ-
ლი ვიყავი, მიზანს მივალ-
ნევდით. როგორც ჩანს,
ზოგს არ მოსწონდა ჩემი
ამბიციები და ხელოვნუ-
რად მიქმნიდნენ პრობლე-
მებს, თუმცა ჩვენ ყველა
სიტუაციაში ვაგრძელებ-
დით წვრთნას.“

კავიჭნის წვლილი

ასეთი იმედგაცრუების შემდეგ, ბევრი ალბათ ხელს ჩაიქნევდა და სპორტულ კარიერასაც წერტილს დაუსვამდა, მაგრამ ვლადიმერ გოგოლაძეს მებრძოლის ხასიათი ჰქონდა, უკან დახევას არც აპირებდა. ფატალური უიღბლობის მიუხედავად, იმედიანად უყურებდა მომავალს. 1986 წლის დასაწყისში ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციამ გასული სეზონის მსოფლიოს საუკეთესო ტანვარჯიშეთა სია გამოაქვეყნა, რომელშიც სხვებთან ერთად ლადოც იყო დასახელებული. ჩინეთის, იაპონიის, გდრ-ის, უნგრეთის, ჩრდილოეთ კორეისა და სსრ კავშირის უძლიერეს ტანვარჯიშეთა დაუსწრებელ პაექრობაში გოგოლაძეს მე-16 ადგილი ერგო. ერთი წლით ადრე, როდესაც ჯერ კიდევ ახალგაზრდების შეჯიბრებებში გამოდიოდა, ამ რეფერენდუმში მას 73-ე პოზიცია ეკავა. პროგრესი თვალნათლივ ჩანდა და თუ ტრავმებს დროულად მოიშუშებდა, ნინ ბევრი საინტერესო ასპარეზობა ელოდა: საკავშირო თასის გათამაშება, აშშ-სსრკ ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა, იაპონიის დიდი საერთაშორისო ტურნირი, კეთილი ნების თამაშები მოსკოვში, პეკინის მსოფლიო თასის გათამაშება, საბჭოთა კავშირის ხლხთა IX სპარტაკიადა. არადა, ტრავმების მოშუშებას თითქმის ნახევარი წელი დასჭირდა, წელის მწვავე ტკივილის მოხსნას ექიმები საკმაოდ დიდხანს მოუწოდნენ. ცხადია, ლადომ სრული დატვირთვით ვარჯიში ვერ მოახერხა, შეჯიბრებაში მოუმზადებლად ჩართვას კი რა აზრი ჰქონდა. ქართველ ტანვარჯიშეს ის სეზონი პრაქტიკულად მთლიანად გაუცდა. საბჭოთა ნაკრებში ადგილის დასაბრუნებლად ახლა საჭირო იყო საკავშირო სპარტაკიადაზე წარმატებით გამოსვლა და გოგოლაძეც, თავის მწვრთნელთან ერთად, რთული პროგრამის შესწავლას შეუდგა.

სპარტაკიადა 1986 წლის სექტემბერში მოსკოვში ჩატარდა. სეულის ოლიმპიადის წინ, ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მასშტაბური შეჯიბრება და სპეციალისტებიც საგანგებოდ აკვირდებოდნენ საკავშირო ნაკრების კანდიდატების გამოსვლას. ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ვლადიმერ გოგოლაძის წარმატება ხანგრძლივი პაუზის შემდეგ. ლადომ საინტერესო პროგრამა წარმოადგინა და ბოლომდე იბრძოლა მრავალჭიდის თუ ცალკეული იარაღების ფინალებში. მრავალჭიდის ბოლო სახეობის, ლერძზე ვარჯი-



შის წინ ვლადიმირ არტიომოვი ლიდერობდა, გოგოლაძე და სერგეი გუსევი მეორე-მესამე ადგილებს იყოფდნენ. საბოლოოდ, მსოფლიოს ჩემპიონმა არტიომოვმა გაიმარჯვა, გოგოლაძემ ლერძზე ვარჯიშში ყველაზე მაღალი შეფასება — 9,9 ქულა დაიმსახურა და მრავალჭიდაში მეორე ადგილზე გავიდა... არნოლდ კვეტენაძეს და საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს ჰანს ბურჯანაძეს გულწრფელად ულოცავდნენ ვლადიმერ გოგოლაძის დიდ სარბიელზე დაბრუნებას.

შეჯიბრების ბოლო დღეს ლადომ ცალკეულ იარაღებზე კიდევ ორი მედალი მოიგო: ლერძზე — ოქროსი, ტაიჭზე — ბრინჯაოსი. მასთან ერთად სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტული საქართველოს ნაკრების კიდევ ორმა წევრმა ირგუნა. ალექსანდრე ლებედევი უძლიერესი იყო რგოლებზე ვარჯიშში, ხოლო ეკა ზეთურიძე — ბჯენით ხტომებში. სპეციალისტები ყველაზე მეტად ჩვენი ვაჟთა ნაკრების მესამე ადგილმა გააკვირვა. ქართველებმა უკან ჩამოიტოვეს ყაზახეთის, ბელორუსიისა და მოსკოვის ძლიერი გუნდები. ბრინჯაოს მედლები ქართველ ტანმოვარჯიშეთა გუნდს არც ერთ წინა სპარტაკიადაზე არ მოუპოვებია. ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა ნაკრების კაპიტანმა ვლადიმერ გოგოლაძემ.

ალიყური

მიღწეული შედეგებით, წესით, ლადოც კმაყოფილი უნდა ყოფილიყო და მისი მწვრთნელიც, მაგრამ ჩვეულებრივ მშვიდი არნოლდ კვეტენაძე ამჯერად მსაჯების არაობიექტურობით იმდენად გამწარდა, რომ აღშფოთებას ვერ მალავდა.

არნოლდ კვეტენაძე: „აბსოლუტურ პირველობაში ლადოს მეტოქეები რუსი ტანმოვარჯიშეები იყვნენ: ვლადიმირ არტიომოვი, სერგეი გუსევი და ვალერი ლიუკინი. ვხვდებოდი, რომ ლადოს მრავალჭიდაში ოქროს მედალს არავინ არ მოაგებინებდა. არბიტრები ძალიან სცოდავდნენ. მთავარი მსაჯი, მოსკოველი ვალერი კერდემელიდი და დანარჩენებიც ყველაფერს აკეთებდნენ, მთელი პიედესტალი რუსული რომ ყოფილიყო. პროტესტიც დავწერე, მაგრამ არც განუხილავთ.



საქართველოს ჭაბუკ
ტანმოვარჯიშეთა ნაკრები.
1984 წელი

ტრავმის შემდეგ დიდხანს ვიმუშავეთ და კარგადაც მოვემზადეთ. იმდენად კარგად, რომ ექვსიდან ხუთ სახეობაში ფინალში გავედით. როგორც ჩანს, იქ „კვოტები“ უკვე განაწილებული ჰქონდათ და ცალკეულ იარაღებზე ლადოსთვის ოქროს მედალი მხოლოდ ლერძზე ვარჯიშში გაიმეტეს.

იმ პერიოდში გოგოლაძე ყველა სახეობაში ძალიან ძლიერი იყო. რგოლებზე უჭირდა ცოტა, რადგან ფიზიკურად ჩამორჩებოდა მეტოქეებს. დანარჩენ იარაღებზე რეალურად კონკურენციას ვერავინ უწევდა, განსაკუთრებით — ლერძზე და თავისუფალ ვარჯიშში. მისი ნებისმიერი პროგრამა ახლაც ასსოვთ სპეციალისტებს.

თავიდანვე, როდესაც ლადო ჩემს ჯგუფში ავიყვანე, სავალდებულო პროგრამას ვაქცევდით განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან იგი ტანვარჯიშის საფუძველია, სკოლაა. წყნარ კუთხეში ცალკე დავსვამდი და კლასიკურ მუსიკას ვასმენინებდი. ვირტუოზების მიერ შესრულებული კლასიკა შინაგანად წმენდს ადამიანს, განსაკუთრებულად განაწყობს სპორტსმენს. მე თავად მიყვარს კლასიკური მუსიკა და მასაც შევაცვარე. წლები შევალიეთ სკოლის დახვეწას. ლადო იმდენად მოხდენილი, სწორი ხაზებით, სუფთად ასრულებ-



და სავალდებულო პროგრამას, რომ მაყურებლები ყოველთვის ოვაციებით აჯილდოებდნენ. აქ მას ტოლი არ ჰყავდა, თავისუფალ ვარჯიშს კი საბჭოთა ნაკრების მწვრთნელები სამაგალითოდ უჩვენებდნენ თავიანთ შეგირდებს. ამ სახეობაში მან ჯერ კიდევ რიმიინის ევროპის პირველობაზე დაიმსახურა უმაღლესი შეფასება.

საბჭოეთის გარდა, ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, ვლადიმერ გოგოლაძე აბსოლუტური ჩემპიონი გახდებოდა, მაგრამ რა ვთქვა რუსებზე, როდესაც ჩემს მშობლიურ თბილისშიც კი მიშლიდნენ ხელს და გასაქანს არ მაძლევდნენ.

ქართველები მაინც სხვანაირი ხალხი ვართ. როდესაც დაინახეს, რომ ლადო ტალანტი იყო და წარმატებებსაც ადვილად აღწევდა, გადაბირება მოინდომეს, მშობლებსაც რალაც-რალაცებებს ჰპირდებოდნენ. დავიბარე ისინი და ვუთხარი — თუ ბავშვის სხვა მწვრთნელთან გადაყვანა გინდათ, ახლავე წაიყვანეთ, თუ არადა, ბოლომდე მენდეთ-მეთქი.

ამ გზით რომ ვერ დაგვაცილეს, ახლა სხვა ხრიკი მოიფიქრეს. იმ პერიოდში რუსუდან სიხარულიძესაც ვავარჯიშებდი და რესპუბლიკის სპორტსახკომის ბრძანებით, საქართველოს ქალთა ნაკრების უფროს მწვრთნელად დამ-

*საქართველოს
ტანმოვარჯიშეთა ნაკრები.
ამირან ბერიანიძე,
ნუგ ზარ ლვინაშვილი,
ზაზა ხომასურიძე,
ალექსანდრე ლებედევი,
ლევან სისაური და
ვლადიმერ გოგოლაძე.
1986 წელი*

ნიშნებს. უარი ვთქვი, ლადოსთან დავრჩი. მოგვიანებით პრესაშიც დაწერეს, კვეტენაძის ხელში ნიჭიერი ჭაბუკის დაოსტატება შეჩერდაო. არც ეს იყო მართალი, ჩემსავით ლადოს არავინ არ იცნობდა, მისი სუნთქვაც მესმოდა. დღე და ღამე ერთად ვიყავით, შვილივით გავზარდე.

იყო დრო, დარბაზშიც არ გვიშვებდნენ. იმასაც ამბობდნენ, ლეონიდ არკავეთან გოგოლაძეს ხელის ნაკვრა სჭირდებაო, მაგრამ იგი იმდენად ძლიერი იყო, რომ პროტექციის გარეშეც მოიპოვებდა დამსახურებულ გამარჯვებებს.

რვა წლის იყო ლადო, ჩემთან ვარჯიში რომ დავაწყებინე. თავიდანვე ჩავიფიქრე, რომ ამ ბავშვს დიდ ტანმოვარჯიშედ გავზრდიდი და ოლიმპიურ კვარცხლბეკამდე მივიყვანდი. არც ვმაღავდი ჩემს განზრახვას, ხმამალლა ვამბობდი. მე მჯეროდა საკუთარი თავისაც და ლადოსიც. დარწმუნებული ვიყავი, მიზანს მივალწევდით. როგორც ჩანს, ზოგს არ მოსწონდა ჩემი ამბიციები და ხელოვნურად მიქმნიდნენ პრობლემებს, თუმცა ჩვენ ყველა სიტუაციაში ვაგრძელებდით წვრთნას.

გამუდმებით ძიებაში ვიყავით, ახალ-ახალ ილეთებს ვიგონებდით, ჯერ თავად ვასრულებდი, ვაკვირდებოდი, შეძლებდა თუ არა იგი ამის გაკეთებას. ვარჯიშები ლადოსთვის მისაღები, მასზე მორგებული უნდა ყოფილიყო. შემდეგ თანდათან ვართულებდით, ვხვეწავდით ცალკეულ ილეთებს. ასე შეეკმენით ბევრი კომბინაცია ორძელზე, ღერძზე, თავისუფალ ვარჯიშში. დღეს მათ, სხვადასხვა ვარიაციით, თითქმის ყველა ტანმოვარჯიშე აკეთებს, მაშინ კი მხოლოდ გოგოლაძისთვის იყო ხელმისაწვდომი.

ლადოს ხშირად ვეუბნებოდი: „ჩვენ საერთო მიზანი გვაქვს, ერთი ქართული ბიჭიც ხომ უნდა გახდეს ოლიმპიური ჩემპიონი და ეს ბიჭი შენ იქნები.“ ჩვენ შემოქმედებითად ვმუშაობდით. რა თქმა უნდა, რომ წამოიზარდა, ვკამათობდით ხოლმე, გვიჩხუბია კიდევ. ყოველთვის ვცდილობდი პირნათელი ვყოფილიყავი მასთან დამოკიდებულებაში. სერიოზული კონფლიქტი ერთადერთხელ მოგვივიდა... ხელი გავარტყი.

ცამეტი-თოთხმეტი წლის იქნებოდა, როცა საქართველოს პირველობაში გაიმარჯვა, თასის გათამაშებაც მოიგო და თანატოლთა საკავშირო ნაკრებშიც მიიწვიეს. როგორც ჩანს, თავი უკვე „ვარსკვლავად“ იგრძნო და სიგარეტის მოწევა დაიწყო. თავად მე არ მინახავს სიგარეტით, სხვებმა მითხრეს. აი, მაშინ წამიცდა ხელი, ძალიან გავბრაზდი, მთელი ნაშრომი წყალში მეყრებო-

და და არა მხოლოდ ჩემი, ლადოსიც. დარბაზიდან გავაგდე, აღარ დამენახომეთქი.

ერთი თვე ახლოს აღარ გავიკარე, გამწარებული ვიყავი. ჩემს თავსაც ვადანაშაულებდი, რომ რალაც გამომჩა, გამომეპარა, ისე არ მოწვედა სიგარეტს. ლადოს ხსენებაც არ მინდოდა, თუმცა სულ მასზე ვფიქრობდი.

მერე მშობლებმა მოიყვანეს. თავადაც მიხვდა, რომ უღალატა ჩვენს საქმეს, საერთო მიზანს. კატეგორიულად გავაფრთხილე, მსგავსის განმეორების შემთხვევაში, ჩვენს შორის დამთავრებული იყო ყველაფერი. მშობლებსაც ველაპარაკე, ავუხსენი, რომ ასაკთან ერთად ბიჭს სხვადასხვა ცდუნება შეუჩდებოდა და თანდათან მეტი ყურადღება დაგვეჭირდებოდა.

ლადოს ყოველთვის სჯეროდა ჩემი, მომყვებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ნაცადი მაქინაციებით შემდგომშიც ცდილობდნენ ჩვენს დაშორებას, მაინც შევინარჩუნე ეს ურთიერთობა.

დიდი დრო გავიდა, შეიძლება არ ღირდეს ამის გახსენება, მაგრამ ვიცი, რომ ეს მარადიული პრობლემაა, მსგავსი სიტუაციები ახლაც იქმნება. 1990-იანი წლების დასაწყისიდან ამერიკაში ვცხოვრობ, აქ ვმუშაობ, თუმცა სისტემატურად ვრეკავ თბილისში და ვიცი, რაც ხდება საქართველოში. სული და გული მანდა მაქვს. ზოგჯერ ვარჯიშზე რომ მივდივარ, ჩემთვის ვფიქრობ: „რა მინდა აქ? ჩემს თბილისში იმდენი ნიჭიერი გოგო-ბიჭია, რამდენიმე წელიწადში საოლიმპიადოდ მოვამზადებდი მათ და თავს არ შევირცხვენდით. აკი ამერიკელებისთვის გავზარდე კიდეც ოლიმპიური ჩემპიონი. აბსოლუტურ პირველობაში ამერიკის ტანმოვარჯიშე ვაჟებს ოქროს მედალი არასოდეს არ მოუპოვებიათ. ჩემპიონი კი არა, პრიზიორიც მხოლოდ ერთხელ ჰყავდათ, ისიც ლოს-ანჯელესში, საბჭოელები რომ არ მონაწილეობდნენ, მაშინ. ახლა კი 2004 წლის ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მრავალჭიდში ჩემმა შეგირდმა პოლ ჰამმა გაიმარჯვა. კიდეც სამი სპორტსმენი გამოდიოდა აშშ-ის ნაკრებში, ვისთანაც მე ვმუშაობდი. გუნდურ ჩათვლაში მათ მეორე ადგილი დაიკავეს იაპონელების შემდეგ.“

რამდენჯერმე ვცაადე საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციასთან ერთად მანდ, თბილისში გვემოვნა სპონსორი, რომ ეგებ საქმე აგვეწყო, მინიმალური პირობები გვექონოდა. არაფერი არ გამოვიდა. იძულებული ვარ ისევ აქ ვაკეთო ჩემი საკეთებელი საქმე.“

ელაშვილი ბოლოლაძე:
„ტანმოვარჯიშეთა
ოლიმპიური ტურნირის
დანწყებამდე ერთი დღელა
რჩებოდა, მე კი ჯერაც არ
ვიცოდი, მოეხვედებოდა თუ
არა ძირითად გუნდში. და-
მეები არ მეძინა, მთელ ჩემ
კარიერაზე ვფიქრობდი.
განვლილ წლებზე, გაუთა-
ვებელ ტრავმებზე, პირადი
მწვრთნელის შრომაზე.“





ზაგრაჰში დატოვაჰული მედეაი

1987 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპარეზობა მსოფლიოს ჩემპიონატი იყო, რომელიც შემოდგომაზე უნდა ჩატარებულიყო ჰოლანდიაში. საბჭოთა ნაკრების თავკაცებმა თადარიგი დაიჭირეს და IX საკავშირო სპარტაკიადის შემდეგ, 1986 წელს როტერდამში, დიდ საერთაშორისო ტურნირზე ქვეყნის მთავარი გუნდის კანდიდატები მიავლინეს.

მაშინ ლადო უკვე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი იყო. თავისუფალ ვარჯიშში, ორძელსა და ბჯენით ხტომებში ოქროს მედეები დაიმსახურა, ხოლო ტაიჭზე — ბრინჯაოს ჯილდო ერგო. სამწუხაროდ, ლერძზე უფერულად შეასრულა კომბინაცია და იმ იარაღზე, რომელზეც საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა მოიგო, დაბალი შეფასება — 8,9 ქულა მიიღო. ამის გამო, მრავალჭიდაში მეორე ადგილი დაიკავა ვალერი ლიუკინთან ერთად, პირველობა კი ჩინელმა ჰუ ძინ იონგმა დაისაკუთრა. ამის მიუხედავად, ჰოლანდიაში ნაჩვენებში შედეგებით, პირადი და ნაკრების მწვრთნელებიც კმაყოფილნი დარჩნენ.

ახალი სეზონის დასაწყისში თბილისელი ტანმოვარჯიშე ოკეანის გაღმა, ვაშინგტონის შტატში გაემგზავრა. ქალაქ ფეირფაქსში კიდევ უფრო სოლიდური ტურნირი, აშშ-ის თასის ღია გათამაშება მოეწყო. ამ შეჯიბრებებში, ტრადიციულად, ძლიერი შემადგენლობა იყრიდა თავს. ახლაც 22 ქვეყნის ტანმოვარჯიშეები იბრძოდნენ პრესტიჟული თასისთვის და ცალკეულ იარაღებზე გამარჯვებისთვის. ლადომ ამჯერადაც კარგად იასპარეზა და შინ შვიდი მედალი ჩამოიტანა, მათ შორის — სამი ოქროსი: ორძელზე, ბჯენით ხტომებსა და ლერძზე ვარჯიშში.

ჩანდა, რომ ვლადიმერ გოგოლაძე თანდათან ფორმაში შედიოდა. ტრავმის გამო გამოტოვებული უნივერსიადა და მსოფლიოს ჩემპიონატი დავინწყებას მიეცა. უფრო ხალისიანად ვარჯიშობდა, მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისა და უნივერსიადისთვის ახალ პროგრამას ამზადებდა, მომავალ წელს კი XXIV ოლიმპიური თამაშები ელოდა.

უნივერსიადა ზაგრებში ჩატარდა. მსგავს ფორუმებზე, როგორც წესი, ყოველთვის ძლიერი კონკურენტები იკრიბებოდნენ, მაგრამ ქართველი ტანმოვარჯიშე წარმატებაში აქაც დარწმუნებული იყო. მის შესაძლებლობებში არც მწვრთნელებს ეპარებოდათ ეჭვი. ზაგრებიდან ლადოს მედეების მთელი კომპლექტი უნდა წამოეღო.

ვლადიმერ გოგოლაძე: „შეჯიბრებების დაწყებამდე ზაგრების სპორტის სასახლეში ჩვეულებრივი ვარჯიში გვქონდა. ბოლო მონახაზებს ვაზუსტებდით, კიდევ ერთხელ ვიმეორებდით ათასჯერ შესრულებულ მოძრაობებს. ცოტა ველავდი, რადგან პირველად აქ, უნივერსიადაზე უნდა შემესრულებინა თავისუფალ ვარჯიშში სამმაგი სალტო. ჩვენთან ასეთი წესია, ოფიციალურ შეჯიბრებებში ვინც პირველი შეასრულებს რომელიმე ახალ ილეთს, იმ სპორტსმენის სახელი დაერქმევა. ტანმოვარჯიშეებისთვის ეს ძალზე პრესტიჟულია. ასეთი ნოვაციებითაც შევიდნენ მსოფლიოს სპორტის ისტორიაში ცუკახარა, ტკაჩოვი, ანდრიანოვი და სხვა ვარსკვლავები.

უნივერსიადაზე ერთგვარი რეპეტიციაც უნდა გამეგლო, აქ მინდოდა მომესინჯა მომავალი ოლიმპიური თამაშების პროგრამა. ცუდი იყო, რომ ჩემთან ერთად იუგოსლავიაში ვერ წამოვიდა ბატონი არნოლდი, თუმცა ვარჯიშს თვალს ადევნებდა საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ლეონიდ არკაევი.

...ბოლო იარაღზე, ღერძზე რომ მოვრჩი საქმეს, ხალიჩისაკენ წავედი სამმაგი სალტოს გასამეორებლად, მაგრამ არკაევემა ისევ ღერძზე დამაბრუნა. კვლავ გავიარე მთელი კომბინაცია და დარბაზის ცენტრისკენ, თავისუფალი ვარჯიშის სექტორისკენ გავემართე. არკაევი არც ახლა მომეშვა, სხვა რა გზა მქონდა, ბრძანება უნდა შემესრულებინა. უხალისოდ მივუბრუნდი იარაღს, მოდუნებულმა გავაკეთე მოძრაობები, ბოლოს ტკაჩოვის ელემენტით დავასრულე კომბინაცია, ღერძს ხელი გავუშვი და ჩემთვის უკვე დამთავრდა უნივერსიადა... არნოლდ კვეტენაძე ხვალ უნდა ჩამოვიდეს.“

არნოლდ კვეტენაძე: „ზაგრებში ჩემს გარდა პრაქტიკულად ყველა სპეციალისტი წაიყვანეს. მოსკოვში ლამის მთელი რუსეთისთვის მოიძიეს თანხებიც და ვიზებიც დროულად მიიღეს. არადა, ყველაზე მეტად მე მჭირდებოდა უნივერსიადაზე ყოფნა. ახლობლებმა იცოდნენ, რომ ლადოს იქ ახალი ილეთი უნდა წარმოედგინა. რაც მთავარია, საოლიმპიადო პროგრამა ოფიციალურ შეჯიბრებაში უნდა გამოგვეცადა. იმ წლებში იუგოსლავიის ნაკრებსაც ვავარჯიშებდი, გოგოლაძეც ხშირად ჩამყავდა, ბევრი გვიცნობდა და ლადო ძალიან უყვარდათ. თორმეტი წლის ასაკში სწორედ იქ მოიგო ერთ-ერთი საერთაშორისო ტურნირი. ორივეს ბევრი გულშემატკივარი გვყავდა.

დავურეკე მეგობრებს, ვიზის გამოგზავნა ვთხოვე. შეჯიბრებების დაწყებამდე ძლივს მოვასწარი ლიუბლიანაში ჩაფრენა, იქიდან კი ზაგრებამდე და-

ახლოებით ასი კილომეტრია. გზაში მეუბნებიან, გოგოლაძემ ვარჯიშზე თითო იტკინაო. ვიფიქრე, არა უშავს, ლადო ტკივილს გაუძლებს-მეთქი, მაგრამ დარბაზში რომ შევედი, ვხედავ მთელი ხელი თაბაშირში აქვს. თურმე ლერიძიდან ჩამოხტომის დროს იდაყვი დაარტყა ცუდად და სახსარში ამოუვარდა

დასრულდა, მორჩა ყველაფერი — უნივერსიადაც, როტერდამის მსოფლიოს ჩემპიონატიც, სხვა ასპარეზობებიც. იმ წლის შეჯიბრებებს ვინლა დარდობდა, მომავალ ოლიმპიადასაც სეულში ჩაუსვლელად ვემშვიდობებოდი. კინოკადრებივით თვალწინ ჩამიარა განვლილმა წლებმა. ჯობდა დანა დაერთყათ, ძარღვებში სისხლი მაინც გაყინული მქონდა.

ორი წლის წინ, ასევე ტრავმის გამო, ვერც იაპონიის მსოფლიოს უნივერსიადაში და ვერც მონრეალის მსოფლიოს ჩემპიონატში ვერ მივიღეთ მონაწილეობა. ახლა უარესი ხდება — სასწორზე დევს ოლიმპიური თამაშების საკითხი.

ვხედავ არკაევი მორბის და შორიდან მეძახის: „ნუ გეშინია, ნუ ნერვიულობ, ლადო დარჩება ოლიმპიურ გუნდში, გოგოლაძეს ნაკრებთან ერთად მაინც წავიყვან სეულში!“

ამან სულ გამაგიჟა. როგორღა მოხვდება ნაკრებში, საერთოდ, შეძლებს კი ტანვარჯიშში დარჩენას, ან მოასწრებს კი ფორმაში შესვლას, ახალი პროგრამის მომზადებას?!

უამრავი კითხვა გაჩნდა. ვინ იცის, რა იქნება ხვალ. ერთი თვის, ერთი წლის შემდეგ?

მე რომ ზაგრებში დელეგაციასთან ერთად ვყოფილიყავი, ეს არ მოხდებოდა. არკაევს უყვარდა თავის გამორჩენა. ვარჯიშებზე ყველას დაანახებდა, რომ აქ ის არის მთავარი ფიგურა, მაგრამ თუ მე და ლადო ერთად ვმუშაობდით, ჩვენს საქმეში არ ჩაერეოდა, რადგან ჩვენ ერთმანეთის გვესმოდა და ვიცოდით, რასაც ვაკეთებდით.“

შტანბასაც უყვარს მოჭერება

სპორტსმენის კარიერაში დგება მომენტი, როდესაც ყველაფერი მოსაბეზრებელი ხდება. არც ვარჯიში გინდა, აღარც შეჯიბრებებში მონაწილეობა და არც ის მედლები, რისთვისაც წლობით ოფლს ღვრიდი. თუ ამგვარი აპათია დრო-

ულად ვერ დაძლიე, მთელი შრომა წყალში ჩაგეყრება. არიან ისეთებიც, ტრავმის შემდეგ ერთგვარი კომპლექსი რომ უჩნდებათ. ზოგი ვერ უძლებს ფსიქოლოგიურ დატვირთვას და სპორტულ კარიერასაც ასრულებს, სხვები კი ბოლომდე ებრძვიან საკუთარ თავს, ახლიდან იწყებენ ყველაფერს და იმარჯვებენ კიდეც. ჩემპიონებსა და რიგით სპორტსმენებს შორის განსხვავებაც სწორედ ამაშია.


ვლადიმერ გოგოლაძე: „მეც მქონია პერიოდები, როდესაც ვარჯიში მიჭირდა, აღარაფერი არ მინდოდა. შიშის გრძნობაც გამომიცდია. ეს ყველაფერი წლების განმავლობაში გროვდება. ყოველდღიურად შვიდი-რვა საათი ვარჯიში, მონოტონური ერთფეროვნება, უცვლელი სახეები, მწვრთნელის გაუთავებელი შენიშვნები. რომელიღაც იღეთი არ გამოდის, წვალობ, მერამდენედ მიდიხარ იარაღთან, ხელის გულები გტკივა, აღარ მინდა, დავიღალე, დამანებეთ თავი!

ამის გამო ნოლიკოსთან მიჩხუბია კიდეც, დარბაზიდანაც წავსულვარ გაბრაზებული, მაგრამ ისევ მწვრთნელის ხათრით, მისი დახმარებით რამდენიმე დღის შემდეგ უკან მოვბრუნებულვარ.

არნოლდ კვეტენაძემ შვილივით გამზარდა, პრაქტიკულად ოჯახი მიტოვებული ჰყავდა. დღე და ღამე ჩემთან ერთად იყო, თბილისში თუ სხვაგან. შეკრებებზეც და შეჯიბრებებზეც თან დამყვებოდა. მზრუნველი, მშრომელი კაცი. მან იმდენი რამ გააკეთა ჩემთვის, რომ მის ამაგს არასდროს არ დავივიწყებ. ოლიმპიური ჩემპიონი რომ გავეხდი, თბილისში ყველა მცნობდა, ქუჩაში სრულიად უცნობი ადამიანები მესალმებოდნენ, მილოცავდნენ, მიღიმოდნენ. ყველგან სასურველი სტუმარი ვიყავი. ზოგჯერ ტაქსის მძღოლები ფულს არ მართმევდნენ. ყოფილა შემთხვევები, რესტორანშიც არ გადაუხდევინებიათ დანახარჯი. მანქანა რომ ვიყიდე, ავტოინსპექციაში ურიგოდ გამიფორმეს საბუთები, ნომრებიც თავად შემირჩიეს. ასეთები ბევრი იყო. ყველაფერი ეს თითქოს წვრილმანია, მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანების გულწრფელი თანადგომა, მათი პატივისცემა ყოველგვარ ოქრო-ვერცხლზე მეტი ყოფილა.“

ხასიათი

ზაგრებში მიღებული ტრავმა უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ექიმები ვარაუდობდნენ. ორი თვე ისე მიიღია, ხეირიანიად ვერ ივარჯიშა. მსოფ-



ვლადიმერ გოგოლაძე
მოსკოვის საერთაშორისო
ტურნირზე. 1989 წელი

ლიოს ჩემპიონატის წინ ლეონიდ არკაევმა შეკრებაზე მაინც იხმო, იქნებ მოასწროს სპორტულ ფორმაში შესვლაო, მაგრამ ექიმებმა დიდი დატვირთვებისგან თავის შეკავება ურჩიეს.

ლადომ ეს ჩემპიონატიც გამოტოვა.

კიდევ რამდენიმე თვე გავიდა, ვიდრე ვარჯიშს გადაჩვეული სხეული „აზრზე“ მოვიდოდა. სამუშაო ბევრი იყო. წლის მთავარ შეჯიბრებამდე, სეულის ოლიმპიადამდე რამდენიმე მნიშვნელოვან ტურნირზე უნდა გამოსულიყო, სადაც ნაკრების კანდიდატებს მძიმე გამოცდა ელოდათ. პირველი ასეთი შეჯიბრება — საბჭოთა კავშირის 54-ე ჩემპიონატი, 1988 წლის გაზაფხულზე ჩელიაბინსკში ჩატარდა. არკაევის პირობა ასეთი იყო: მრავალჭიდის საუკეთესო ოთხეული ეგრევე გაინაღდება სამხრეთ კორეის საგზურს. გოგოლაძემ ამჯერად მიზანს ვერ მიაღწია. სამაგიეროდ, არმიელთა პირველ ნაკრებთან ერთად გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა. სეულში გამოსვლის უფლება დიმიტრი ბილოზერჩევმა, ვლადიმერ არტიომოვმა, ვალერი ლიუკინმა და იური კოროლიოვმა მოიპოვეს. დარჩენილ ორ ვაკანსიაზე პრეტენზიას რამდენიმე ტანმოვარჯიშე აცხადებდა, მათ შორის ვლადიმერ გოგოლაძეც. არჩევანის გაკეთება ნაკრების ხელმძღვანელობამ მომავლისთვის გადადო.

ქართველ სპორტსმენს თავისი უპირატესობის დამტკიცების შანსი სულ მალე, მაისის დასაწყისშივე გაუჩნდა. ტოკიოს საერთაშორისო ტურნირზე მასპინძლებმა იმ პერიოდის უძლიერესი გუნდების — საბჭოთა კავშირის, ჩინეთისა და აშშ-ის ტანმოვარჯიშეები მიიწვიეს. მრავალჭიდში ლადომ პირველობა არავის დაუთმო, ასპარეზობების მეორე დღეს კი ტაიფზეც ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა. ამის მიუხედავად, მოხვდებოდა თუ არა ოლიმპიურ გუნდში, ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო. ლეონიდ არკაევი ნაკრების შემადგენლობას ივლისის ბოლოს, საკავშირო თასის გათამაშების შემდეგ დაასახელებდა.

ქვეყნის თასის გათამაშება და ცალკეულ იარაღებზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მოსკოვის სპორტკომპლექს „ოლიმპიისკის“ არენაზე ათ დღეს გაგრძელდა. სავალდებულო პროგრამის შემდეგ ფავორიტები უცვლელნი დარჩნენ. როგორც უკვე ითქვა, არტიომოვს, ბილოზერჩევს, ლიუკინსა და კოროლიოვს ოლიმპიურ გუნდში ადგილები უკვე განაღდებული ჰქონდათ. დარჩენილი ორი ვაკანსიისთვის ვლადიმერ გოგოლაძესთან ერთად სერგეი ხარ-



კოვი, ვალენტინ მოგილნი და ვლადიმირ ნოვიკოვი იბრძოდნენ. დაძაბულ პაექრობაში ნერვებმა უმტყუნა ვლადიმირ არტიომოვს. იგი ტაიჭიდან ჩამოვარდა, თუმცა პრიზიორთა სამეულში მაინც შევიდა. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა იური კოროლიოვი. მან თავისუფალ ვარჯიშში მოთელვის დროს აქილევსის მყესი გაიწყვიტა და ახლა უკვე მესამედ დადგა ოლიმპიური თამაშების გამოტოვების რეალური საფრთხის წინაშე. რაც შეეხება ქართველ ტანმოვარჯიშეს, ლადომ საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობას კიდევ ერთხელ დაუმტკიცა თავისი ოსტატობა. ჩვეულებრივ მშვიდმა არნოლდ კვეტენაძემ მხოლოდ ბოლო იარაღზე — ღერძზე ვარჯიშის დასრულების შემდეგ ამოისუნთქა შვებით. გოგოლაძემ რთული კომბინაცია პრაქტიკულად უშეცდომოდ ჩაამთავრა და დახტომიც უნაკლო გამოუვიდა. საბოლოოდ, მან მეხუთე ადგილთან ერთად სეულის ოლიმპიადის საგზურიც მოიპოვა.

ამის მიუხედავად, ლეონიდ არკაევმა სიტყვა მაინც არ შეასრულა: არ დაასახელა გუნდის სრული შემადგენლობა სათადარიგოს ჩათვლით. თუმცა მწვრთნელის ჩანაფიქრის გამოცნობა ძნელი არ იყო. ამ ტაქტიკით მან სრული მობილიზება გამოაცხადა. არავის არ ჰქონდა მოდუნების უფლება, ოლიმპიადამდე დარჩენილი თვენახევრის განმავლობაში, ნებისმიერ დროს თითოეული ტანმოვარჯიშე მზად უნდა ყოფილიყო შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის.

არნოლდ კვეტენაძე: „არკაევი თავისებური პიროვნება იყო. რა თქმა უნდა, როგორც სპეციალისტმა, მან კარგად იცოდა თავისი საქმე, მაგრამ წმინდა სპორტული შედეგების გარდა, იგი სხვა რამეებსაც ითვისებდა. 1980-იან წლებში მას ნაკრებში სულ რუსები ჰყავდა. ერთადერთი გამონაკლისი ვლადიმერ გოგოლაძე იყო. მან ეს თავისი ნიჭით და დიდი შრომით დაიმსახურა. არკაევი ლადოს ხელს ვერ ჰკრავდა, თუმცა ხანდახან მაინც „ემშაკობდა“. მაგალითად, ჩვენ არაერთი ახალი ილეთი მოვიფიქრეთ, მაგრამ ამ ილეთებს, სხვადასხვა მიზეზით, გოგოლაძის სახელი არ შემორჩენიათ. არკაევი მათ სხვა სპორტსმენებს მიანერდა ხოლმე. ერთადერთი, „დელასალა“ დაარქვეს ლადოს სახელი, ისიც იმიტომ, რომ პირველად იტალიაში, ახალგაზრდების ევროპულ პირველობაზე შეასრულა და ყველამ დაინახა, ვინ იყო ამ კომბინაციის ავტორი. 1987 წელს მსოფლიოს უნივერსიადაზე სამმაგი სალტო უნდა შეესრულებინა, მაგრამ ზაგრებში მიღებული ტრავმის გამო საერთოდ ვერ გამოვიდა და ვალერი ლიუკინს ერგო პირველმსრულებლის პატივი. გოგო-



არნოლდ კვეტენაძე:
 «ჭაბუკობისას გოგოლაძე
 ყველა სახეობაში ძალიან
 ძლიერი იყო. რგოლებზე
 უჭირდა ცოტა, რადგან
 ფიზიკურად ჩამორჩებო-
 და მეტოქეებს. დანარჩენ
 იარაღებზე რეალურად
 კონკურენციას ვერავინ
 უწევდა, განსაკუთრებით
 — ღერძზე და თავისუფალ
 ვარჯიშში. მისი ნებისმიე-
 რი პროგრამა ახლაც
 ახსოვთ სპეციალისტებს.»



ლეონიდ არკავევი:
 „თუ არ ვცდები, ლადო
 1982 წელს გავიცანი. ნაკ-
 რებში სერიოზულ ყურად-
 ლებას ვაქცევდით დიდი
 დატვირთვის შესრულების
 უნარს. როდესაც ვეკით-
 ხებოდი, ხომ არ დაიღალე,
 ლადო? ყოველთვის მმა-
 სუხობდა: ისე რა, ცოტათი.
 იგი პატიოსნად მუშაობ-
 და ნებისმიერ იარაღზე.
 ვარჯიშებზე სრულად
 იხარჯებოდა და რასაც
 დავავალებდი, ბოლომდე
 მიიყვანდა. მას ძალიან
 კარგი მონაცემები და, რაც
 მთავარია, ტანმოვარჯი-
 შისთვის საჭირო ჩინებუ-
 ლი სკოლა ჰქონდა.“



ლადეს უნიკალური ვარჯიშები ჰქონდა. ბილოზერჩევი პირდაპირ კოპირებას აკეთებდა და ამას არც თაკილობდა. ჩვენს ბევრ კომბინაციას ახლაც იყენებენ ტანმოვარჯიშეები.“

„მეფის გაგზიტი“ პიკნიკის შემდეგ

ლადოს სამმაგი სალტო მართლაც საოცრად ლამაზი იყო. სამხრეთ კორე-ელმა მაყურებლებმა იგი ოლიმპიადამდე ერთი თვით ადრე იხილეს, როდესაც საბჭოთა ნაკრებმა მასპინძლებთან სამატჩო შეხვედრა და საჩვენებელი გამოსვლა გამართა.

საბჭოეთის ქვეყნიდან ჩასული ტანმოვარჯიშეებისადმი ინტერესი სტუმართათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. ოცკაციან დელეგაციას აეროპორტში ასზე მეტი ჟურნალისტი და ფოტორეპორტიორი დახვდა, სეულის ოლიმპიურ დარბაზში მონყობილ საჩვენებელ ვარჯიშს კი თითქმის ათი ათასი გულშემატკივარი ადევნებდა თვალს. როგორც ადგილობრივი გაზეთები წერდნენ, ვლადიმერ გოგოლაძის სამმაგმა სალტომ სპეციალისტების გაცე-ბა და აღფრთოვანება გამოიწვია.

აზიიდან ლადო იმედიანად დაბრუნდა, სპორტული ფორმის პიკსაც მიუ-ახლოვდა და ცხოვრების მთავარ მიზანსაც. ბოლო სანვრთნელი შეკრება მინ-სკში ჰქონდა, თავის დაბადების დღესაც იქ აღნიშნავდა. 18 აგვისტოს მას ოც-დაორი წელი უსრულდებოდა.

უახლოეს მეგობართან დიმიტრი ბილოზერჩევთან ერთად, სასტუმროს ნომერში შამპანურით მცირე პიკნიკი მოაწყვეს. დიმა დათვრა, ახალმოყვანი-ლი ცოლი გაახსენდა, სიყვარული მოეძალა და მოსკოვში ისე გაფრინდა, ნე-ბართვა არავისთვის უთხოვია. ბილოზერჩევის და გოგოლაძის გუნდში დარ-ჩენის საკითხი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა...

მინსკში სასწრაფოდ გაფრინდა საქართველოს სპორტსახკომის თავ-მჯდომარის პირველი მოადგილე ვაჟა შუბლაძე. ტანვარჯიშულ სახეობებს სწორედ ის კურირებდა.

ვაჟა შუბლაძე: „ტანვარჯიშის საკავშირო ფედერაციის პრეზიდენტთან იური ტიტოვთან და ნაკრების უფროს მწვრთნელთან ლეონიდ არკაევთან

ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა. არკაევთან სულაც ვძმაკაცობდი. იმ პერიოდში საქართველოში რამდენიმე ტანვარჯიშოული დარბაზი ავაშენეთ, ამით სარგებლობდა არკაევი და შავიზღვისპირეთში ხშირად აწყობდა მთავარი გუნდის შეკრებებს. რაც მთავარია, ჭადრაკში ჩემი პარტნიორი იყო, სიგიჟემდე უყვარდა ეს თამაში, მაგრამ ორგანულად ვერ იტანდა წაგებას. აი, ეს მომენტი უნდა გამომეყენებინა. ამასთან იგი თავისებური პიროვნება იყო, კვირაში ცხრა პარასკევი ჰქონდა და წამში შეეძლო სუბიექტური გადაწყვეტილების მიღება.

არკაევისთვის თხოვნა რომ დამენყო — გოგოლაძეს გუნდიდან ნუ გაუშვებ-მეთქი, გავაფუჭებდი საქმეს. ამიტომ შევედი დარბაზში, მოშორებით ჩამოვჯექი და წყნარად ვუყურებდი ვარჯიშს. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა, მომესალმა და ჩამოსვლის მიზეზი მკითხა.

— ჩამოვედი, რომ ხასიათი გაგიფუჭო, ჭადრაკი უნდა მოგიგო-მეთქი.

საქმეს რომ მორჩა, სასტუმროს ნომერში ავედი, ერთი ბოთლი კონიაკიც დავლიეთ და სხვადასხვა თემებზეც ვისაუბრეთ. ლადოს შესახებ, რა თქმა უნდა, სიტყვა არ დამცდენია, ჭადრაკში კი ხუთივე პარტიაში დავამარცხე. ჩემს საყვარელ დებიუტს, „მეფის გამბიტს“ ვერაფერი მოუხერხა.

ძალიან გამწარდა, თუმცა არაფერი უთქვამს. ჩვენ ერთმანეთს პატივს ვცემდით, ზედმეტს არც ის იკადრებდა და არც მე. ისე კი, ცხადია, მიხვდა, რატომაც ჩავედი.

თბილისში დავბრუნდი, ლადოსთან ჰანს ბურჯანაძე დარჩა. მეორე დღეს დამირეკეს, გოგოლაძე გუნდშია და წვრთნას განაგრძობსო.“

ჰანს ბურჯანაძე: „იმ პერიოდში საბჭოთა ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი ვიყავი. ბოლო შეკრებაზე მინსკში ლადოს მე ვავარჯიშებდი. კულუარებში ჩურჩულებდნენ, დაბადების დღე გოგოლაძემ გადაიხადა და ბილოზერჩევსაც ის შეაცდენდაო. ვხვდებოდი, მოსკოველ სპორტსმენს არ განირავდნენ, ჯოხი ლადოზე გადატყდებოდა. ამასთან დიმა ობიექტურად ყველას ჯობდა, მსოფლიოს ორგზის აბსოლუტური ჩემპიონიც იყო და მის გამოსვლას სეულში ბევრი ელოდა.“

ჩემს კარიერაში ეს უკვე მეორედ ხდებოდა, რომ ქართველ ტანმოვარჯიშეს ბოლო მომენტი ართმევდნენ ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობის უფლებას. 1976 წელს მონრეალში ასე მოექცნენ პაატა შამუგიას. იმ სეზონში



*სეულის ოლიმპიური
თამაშების ჩემპიონი სსრ
კავშირის ნაკრები:
დიმიტრი ბილოზერჩევი,
ვლადიმერ გოგოლაძე,
ვლადიმირ არტიომოვი,
სერგეი ხარკოვი,
ვალერი ლიუკინი
და ვლადიმირ ნოვიკოვი.
სეული, 1988 წელი*

იგი საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა და ბოლო შეკრებაზეც ჩინებულ ფორმაში იყო. კანადაში რომ ჩავფრინდით, ოლიმპიური ტურნირის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, არკაევმა შემადგენლობა გამოაცხადა და მაშინაც ჩვენი სპორტსმენი ამოაგდო გუნდიდან. ის ოლიმპიადა იაპონელებმა მოიგეს, ზედიზედ მეხუთედ გაიმარჯვეს, საბჭოეთიდან კი ოქროს მედლის მოპოვება მხოლოდ ნიკოლაი ანდრიაონოვმა შეძლო.

იმ პერიოდისთვის ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ მონრეალში მაინც ცუდად გავხდი და სასტუმროში ლევან მოსეშვილი მივლიდა. ახლა რომ ლადოც უოლიმპიადოდ დაეტოვებინათ, ალბათ, ინფარქტი დამარტყამდა, მაგრამ გადავრჩით. თანაც, ბილოზერჩევთან შედარებით, ლადოს ისეთი არაფერი დაუშავებია. ქართველი კაცი ერთი ბოთლი შამპანურით ხომ არ დათვრებოდა?!

დიმამ კი მართლაც სერიოზული შეცდომა დაუშვა. კრება მოინვიეს, მოსკოვიდანაც ჩამოვიდა ვილაც მაღალჩინოსანი. თანაგუნდელებმა ერთხმად



განაცხადეს, ოლიმპიადას ბილოზერჩევის გარეშეც მოვიგებთო. გუნდიდან აგდებდნენ. ერთადერთი ლადო წავიდა წინააღმდეგი, მხარში ამოუდგა მეგობარს.“

*გიორგი ჩოგოვაძე,
ნინო სალუქვაძე,
ვახტანგ იაგორაშვილი
და ვლადიმერ გოგოლაძე.
მოსკოვი, 1988 წელი*

სსრკ სპორტსახკომი უფლებამოსილია განაცხადოს

სეულის თამაშების გახსნამდე ზუსტად ერთი თვით ადრე შედგა საკავშირო სპორტსახკომის კოლეგიის სხდომა, რომელზეც ცალკეული სახეობების მიხედვით ოლიმპიური დელეგაციის წევრების სია დაამტკიცეს. საქართველოდან საგზურები უკვე განაღებულნი ჰქონდა 13 სპორტსმენს, დანარჩენების ვინაობა მოგვიანებით გაირკვეოდა. რაც შეეხება ვლადიმერ გოგოლაძეს, კოლეგიის გადაწყვეტილებით იგი გაემგზავრებოდა სამხრეთ კორეაში, თუმ-

ცა გამოვიდოდა თუ არა ოლიმპიურ ტურნირში, ეს უკვე სეულში გადაწყდებოდა. ბოლო სიტყვა ლეონიდ არკაევს უნდა ეთქვა.

ლეონიდ არკაევი: „გოგოლაძეს ექვსეულში რომ დავაყენებდი, ამაში ეჭვიც არ მეპარებოდა. ოლიმპიადამდე, სხვადასხვა შეჯიბრებების გარდა, საკონტროლო ასპარეზობებიც გვექონდა. იგი ყოველთვის დამაჯერებლად გამოდიოდა. ამასთან, ჩვენ ნაკრებში თავისუფალ ვარჯიშში სამმაგი სალტოს შესრულება მხოლოდ ლადოს და ვალერი ლიუკინს შეეძლოთ, ამიტომ მე ის მჭირდებოდა. ისიც ვიცოდი, რომ, ჩვეულებრივ, დისციპლინას არღვევენ ტიტულოვანი სპორტსმენები და ამჯერადაც მთავარი დამნაშავე ბილოზერჩევი იქნებოდა, თუმცა ორივე უნდა დამესაჯა. ეს ნმინდა პედაგოგიური სვლა იყო. მათ უნდა სცოდნოდათ, რომ არასწორი საქციელის გამო, შეიძლება ყველაფერი დაეკარგათ და წლობით ნაშრომ-ნაწვალეები ერთბაშად წყალში ჩაეყარათ.“

გოგოლაძე გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, კარგი მონაცემებიც ჰქონდა. ოლიმპიადისთვის სპეციალური პროგრამა მივეცი და პირნათლად შემისრულა ის დავალება. ასე რომ, გულში ყოველთვის ვფიქრობდი, ლადო აუცილებლად გამოვიდოდა ოლიმპიურ ფიცარნაგზე, თუმცა მანამდე არც მას და არც ბილოზერჩევს სპორტული რეჟიმი აღარ უნდა დაერღვიათ და რაც მთავარია, სრულ მზადყოფნაში უნდა ყოფილიყვნენ.“

სპორტი — პოლიტიკის ნაწილი

მონრეალის შემდეგ თორმეტი წელი ისე მიიღია, კაპიტალისტური და სოციალისტური ბანაკის სპორტსმენებს ოლიმპიურ თამაშებში ერთად არ უასპარეზიათ. ამ ხნის განმავლობაში მსოფლიოში ბევრი რამ შეიცვალა, თუმცა დაპირისპირებულ კოალიციათა ფარული, ზოგჯერ კი ღია ომი მაინც გრძელდებოდა. საბჭოთა ჯარების ავღანურმა ვოიაჟმა, ჩერნობილის კატასტროფამ და სამხრეთ კორეული თვითმფრინავის ჩამოგდება მსოფლიოში სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა.

სამყაროს მშვიდობა სჭირდებოდა და გონს მოსულმა პოლიტიკოსებმა, ძველი ბერძნების მსგავსად, ოლიმპიზმის იდეებს უხმეს — ბრძოლის ველი სპორტულ არენაზე გადაიტანეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობის მთავარი კონკურენტები, ტრადიციულად, საბჭოთა და და ამერიკელი ათლეტები იყვნენ. ახლაც, სეულშიც მათ პაექრობაში უნდა გარკვეულიყო უძლიერესი სპორტული ქვეყნის ვინაობა. კრემლმა კორეაში მხოლოდ ის სპორტსმენები მიავლინა, ვისაც საპრიზო სამეულში მოხვედრის რეალური შანსი ჰქონდა. ამის გამო საბჭოური დელეგაცია თითქმის 25 პროცენტით შემცირდა.

საქართველოდან საბჭოთა ოლიმპიურ დელეგაციაში 16 სპორტსმენი მოხვდა, თუმცა ვლადიმერ გოგლაძემ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ მეთექვსმეტე ის იყო.

ქართველთაგან შეჯიბრებებში პირველი ნინო სალუქვაძე ჩაება და პირველიც ის ავიდა ოლიმპზე.

ნინო სალუქვაძე: „ლადოს ოლიმპიადამდეც ვიცნობდი, თუმცა ერთმანეთს სწორედ იმ სეზონში დავუახლოვდით. გაზაფხულზე ქვეყნის ნაკრები გუნდების კანდიდატები ბრესტში წაგვიყვანეს, ციხე-სიმაგრე დაგვათვალიერებინეს — ვითომ პატრიოტულ გრძნობებს გაგვიღვივებდნენ. მოგვიანებით მოსკოვში, ლენინის მავზოლეუმში წაგვიყვანეს და ფიციც დაგვადებინეს. სპორტსმენებს არაფერი ეს არ გვჭირდებოდა, ისედაც ყველანი გამარჯვებაზე ვფიქრობდით.

ბრესტამდე მატარებლით ვიმგზავრეთ. ქართველები ერთად ვიყავით: დავით გობეჯიშვილი, გელა კეტაშვილი, თამაზ იმნაიშვილი. ლადოც ჩვენთან ერთად იყო, ერთად დავდიოდით ყველგან.

ლამის მთელი ქალაქი გამოვიდა ჩვენთან შესახვედრად, ბავშვებიც იყვნენ ყვავილებით. როგორც გმირებს, ისე გვიყურებდნენ. უცნობი ჯარისკაცის საფლავიც მოვინახულეთ.

...სეულში კარგა ხნით ადრე ჩავედით. ქართველები ოლიმპიურ სოფელში ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ იქ ყველანი ჩვენ-ჩვენი საქმით ვიყავით დაკავებული, შეჯიბრებისთვის ინდივიდუალური პროგრამით ვემზადებოდით.

სხვათა შორის, კორეელებმა ჩინებულად მოაწყვეს ოლიმპიადა, ქუჩებშიც კეთილგანწყობით გვხვდებოდნენ. საბჭოელები არც ენახათ, მთელ უბანს დაუძახებდნენ და ცნობისმოყვარეობით გვათვალიერებდნენ. რა თქმა უნდა, მათთვის ყველანი რუსები ვიყავით.

იმ პერიოდში საკავშირო ნაკრებში მოხვედრა ძალიან რთული იყო, მით უმეტეს ჩვენთვის, ქართველებისთვის. ვინც ამას შეძლებდა, ესე იგი, ნამ-



*სსრ კავშირის
ტანმოვარჯიშეთა ნაკრები:
სერგეი ხარკოვი,
ვალერი ლიუკინი,
ვლადიმერ გოგოლაძე,
დიმიტრი ბილოზერჩევი
და ვლადიმირ არტიომოვი*

დვილად დიდი სპორტსმენი იყო. იმ წელს ლადოსთან ერთად სოხუმშიც და ნოვოგორსკშიც ვიყავი შეკრებებზე და ვიცი, რა ნერვების, წვალებისა და დაულალავი შრომის ფასად მოიპოვა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება.

მეც ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მომიწია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი სეზონის განმავლობაში არც ერთი ტურნირი არ ჩამიგდია, მაინც ჭოჭმანობდნენ, დავეყენებინე თუ არა პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში. მსროლელთა მთელ დელეგაციაში ერთადერთი დუბლიორი მე გამომაყოლეს, მაგრამ სპორტული პისტოლეტით ასპარეზობაში ოლიმპიური რეკორდით რომ გავიმარჯვე, ნაკრების ხელმძღვანელებმა ჩემი შეცვლა ვეღარ გაბედეს და მეორე, ვერცხლის მედალი პნევმატურშიც ავიღე.

საქართველოს სპორტსმენებმა სამხრეთ კორეიდან 12 მედალი წამოვიღეთ, მათ შორის 5 ოქროსი. თბილისში რომ ჩამოვედით, ყველა თავისებურად გვეფერებოდა, ლევან თედიაშვილმა კი ფაეტონი დაიქირავა და ლამის მთელი თბილისი ქეიფით შემოგვატარა.“



სსრ კავშირის
ტანმოვარჯიშეთა
დელეგაცია სეულის
ოლიმპიურ თამაშებზე.
1988 წელი

არკაევის „პრინცი“

ტანმოვარჯიშეთა ოლიმპიური შეჯიბრება 18 სექტემბერს იწყებოდა. ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ლეონიდ არკაევმა ერთი დღით ადრე, როგორც იქნა, გააკეთა არჩევანი ვალენტინ მოგილნისა და ვლადიმერ გოგოლაძეს შორის. მოგილნის თვალები ცრემლებით აევსო, ხოლო ლადომ იმ ღამეს პირველად დაიძინა მშვიდად.

მოგვიანებით, კულუარებში ამბობდნენ, არკაევმა თავიდან არჩევანის გაკეთება ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს, ალექსანდრე ალექსანდროვს შესთავაზა, რომელიც დიმიტრი ბილოზერჩევთან ერთად მოგილნისაც ამზადებდა.

ლადოს დაბადების დღეს მომხდარი ინციდენტის შემდეგ, კრებაზე მოგილნიმ სხვა თანაგუნდელებივით განირა მეგობარი, გოგოლაძემ კი დაიცვა ბილოზერჩევი. ალექსანდროვს ქართველის საქციელი მოსწონებია და ახლა ფსონი მის სასარგებლოდ დადო.

გადაწყდა, ლადო ოლიმპიელია, მაგრამ არკავევი ზედმეტ „პრიანიკებს“ არ არიგებს — გოგოლაძე საბჭოთა ნაკრების „გამხსნელი“ იქნება, იარაღებზე პირველი ის გამოვა. ტანმოვარჯიშეთა ენაზე ეს ნიშნავს, რომ გუნდურის გარდა, არც ერთ სახეობაში გამარჯვების იმედი არ უნდა გქონდეს. აქ დაუნერელი კანონი მოქმედებს. როგორც წესი, თავიდან მსაჯები დაბალ ქულებს არიგებენ, ათიანებს კი ბოლოსთვის ინახავენ.

ქართველი სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებში 1952 წლიდან მონაწილეობენ და ჩვენმა ტანმოვარჯიშეებმაც ხუთგოლიანი მედლების ანგარიში მაშინ გახსნეს. მზია ჯუღელმა გუნდურ შეჯიბრებაში ოქრო-ვერცხლი დაიმსახურა, ბჯენით ხტომებში კი მეოთხე ადგილი ერგო. ჰელსინკი ისიც „გამხსნელად“ გაამწესეს და იმ სახეობაშიც კი, რომელშიც ყველას სჯობდა, პირველი ის მიდიოდა იარაღთან.

ლეონიდ არკავევი: „მე ლადოსგან სტაბილური და კარგი დასაწყისი მჭირდებოდა. ის ყველა იარაღზე ჩინებულად იყო მომზადებული და თუ გოგოლაძე თავიდანვე მაღალ ქულებს დაიმსახურებდა, მსაჯებიც გუნდის დანარჩენი წევრებისთვის კიდევ უფრო სოლიდურ შეფასებებს გაიმეტებდნენ.“

სეულის ოლიმპიადაზე ჩვენ ძალიან ძლიერი შემადგენლობა გვყავდა, ისეთი რთული ვარჯიშები გვქონდა, დღესაც კი ახლოს ვერავინ ვერ მიდის. ლადოს მთავარი ამოცანა სწორედ ამ ელემენტების და თავისი მაღალი კლასის სრულად წარმოჩენა იყო. მან ეს ფუნქცია ბრწყინვალედ, შემოიღია ვთქვა, 150 პროცენტით შეასრულა. როდესაც გამხსნელს, ვლადიმერ გოგოლაძეს 9,7 ან 9,8 ქულას უწერდნენ, ამით ყველას დაეანახეთ, რომ საბჭოთა ტანმოვარჯიშეები საუკეთესო არიან მსოფლიოში და ჩვენი პირველი გამომსვლეელიც კი მეტოქეების ფავორიტებს სჯობია. აი, ამის გამო, ამ პოზიციაზე მე საიმედო კაცი მჭირდებოდა, რომელიც გუნდს გზას გაუკვალავდა გამარჯვებისკენ.

რა თქმა უნდა, ამის მიუხედავად მაინც ვიმედოვნებდი, რომ ლერძზე და თავისუფალ ვარჯიშში გოგოლაძე შეძლებდა ცალკეული იარაღების ფინალში შესვლას, მაგრამ ეს უკვე პროგრამა-მაქსიმუმი იყო მისთვის. აბსოლუტურ პირველობაში და ცალკეულ იარაღებზე გამარჯვებისთვის ჩვენ გვყავდა არტიომოვი, ბილოზერჩევი, ლიუკინი. ისინი ნამდვილი ვარსკვლავები იყვნენ და არ მიღალატებდნენ. ნაკრების წევრების ასეთი გადანაწილება ერთკვირიანი სატურნირო ბრძოლის ტაქტიკური ჩანაფიქრიდან გამომდინარეობდა.“

არნოლდ კვეტინაძე: „ლადო მზად იყო ჩემპიონობისთვის, რომელიმე იარაღზე მაინც უნდა მოეგო ოქროს მედალი. მე ტრიბუნებიდან ვუყურებდი ასპარეზობას, ქვევით, არენაზე კი არკავეი იძლეობა განკარგულებებს. შეჯიბრებები ნორმალურად მიმდინარეობდა. ჩემთვის ვადარებდი გამომსვლელებს. გოგოლაძე არავისზე ნაკლები არ იყო, მაგრამ ისეთ პოზიციაში დააყენეს, იძულებული გახდა გუნდისთვის ემუშავა. დარბაზში მოსკოველი მაღალჩინოსნებიც იყვნენ და საბჭოთა პერიოდში, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი ოქრო-ვერცხლი ქვეყნის მთავარ ქალაქში უნდა ჩაეტანათ.“

იმ პერიოდში ძლიერი ტანმოვარჯიშეები ჰყავდათ ალმა-ათაში და ვლადიმირში. ამ ქალაქებში კარგი სკოლები იყო და მოსკოვსაც კონკურენციას ძირითადად ისინი უწევდნენ. ყაზახეთიდან ვლადიმირ ნოვიკოვი და ვალერი ლიუკინი შეიყვანეს ნაკრებში, ვლადიმირიდან კი ვლადიმირ არტიომოვი. ასე რომ, გოგოლაძის შემდეგ ორი ადგილია რჩებოდა გუნდში და დიმიტრი ბილოზერჩევთან ერთად, კიდევ ერთი მოსკოველი, სერგეი ხარკოვი ჩასვეს ძირითად შემადგენლობაში.

ყველასთვის გასაგებია, საბჭოეთის დედაქალაქს პირველობა სურდა. რა თქმა უნდა, გული დაგვწყდა, რომ ოლიმპიადაზეც კი, წმინდა სპორტულ პაექრობაში, პოლიტიკოსები ერეოდნენ და ჯილდოებიც წინასწარ გაინაწილეს, მაგრამ რას ვიზამდით? ლადოს თავისუფალ ვარჯიშში ისეთი უნიკალური პროგრამა ჰქონდა, რომ ჯერ კიდევ მამინ ვამბობდით, ეს 2010 წლის მოდელი იქნებოდა. ვერავინ წარმოიდგენდა, ამ ილეთების გაკეთება თუ შეიძლებოდა. ამის მიუხედავად, სავალდებულო პროგრამაში ხალიჩაზე იგი ნოვიკოვის შემდეგ, მეორე ნომრად გაუშვეს. მაინც 9,85 ქულა დაიმსახურა, თუმცა ბოლოს მსაჯებმა ათიანები დაურიგეს არტიომოვს და ხარკოვს.

ძალიან ვინერვიულე, ლადოსთან ერთად ვათენებდი ლამეებს, ძილი არ მეკარბოდა. დღემდე მომყვება სეულის ოლიმპიადის მწარე გემო, მაგრამ მაშინ ლადოს დანყნარება იყო საჭირო, ბოლომდე უნდა ებრძოლა. შევხვდი, ველაპრაკე, ისიც ნაწყენი იყო. ავუხსენი, რომ გუნდს სჭირდებოდა დახმარება და საერთო გამარჯვებისთვის ყველაფერი უნდა გაეკეთებინა. რა თქმა უნდა, ეს ის არ იყო, რაც ჩვენ ჩავიფიქრეთ. გუნდურის გარდა, კიდევ ორი მედალი უნდა წამოგვეღო, მაგრამ ალბათ არკავემა ჯერ კიდევ ზაგრებში გადაწყვიტა ყველაფერი, როცა გოგოლაძემ ტრავმა მიიღო. იდაყვი რომ არ დაუზიანებინა, ლადო უთუოდ გაიმარჯვებდა და აღარც სეულში დააყენებდნენ გამხსნელად.“

ლენიდა არკავეი:
 „სეულის ოლიმპიადაზე
 ჩვენ ძალიან ძლიერი შე-
 მადგენლობა გვყავდა,
 ისეთი რთული ვარჯიშები
 გვქონდა, დღესაც კი ახ-
 ლოს ვერავინ ვერ მიდის.
 ლადოს მთავარი ამოცანა
 სწორედ ამ ელემენტების
 და თავისი მაღალი კლასის
 სრულად წარმოჩენა იყო.
 მან ეს ფუნქცია ბრწყინვა-
 ლედ, შემოძლია ვთქვა, 150
 პროცენტით შეასრულა.“





ბედნიერება უცნაური ბრძოლაა

ოლიმპიური თამაშები ყველა სხვა ასპარეზობისაგან გამორჩეული ტურნირია. სპორტსმენებს ოთხ წელიწადში ერთხელ ეძლევათ ოლიმპზე ასვლის შანსი და იგი ბოლომდე უნდა გამოიყენონ. საბჭოთა ნაკრები ამ შეჯიბრებებისთვის გეგმაზომიერად ემზადებოდა, მწვრთნელები ყველა დეტალს ითვალისწინებდნენ. ერთი თვით ადრე, სეულში სამხრეთ კორეელებთან გამართული სამატჩო შეხვედრის დროს, იაპონური ფირმის ტანვარჯიშული იარაღებიც მოსინჯეს, რომლებიც სპეციალურად ოლიმპიადისთვის დაამზადეს. შემდეგ ბოლო შეკრება მინსკის სპორტის სასახლეში ჩაატარეს, დარბაზის სივრცეს და ტრიბუნებს რომ შეჩვეოდნენ.

ტანმოვარჯიშეთა ოლიმპიური მართონი 18 სექტემბერს, ვაჟთა გუნდების სავალდებულო პროგრამით დაიწყო. საბჭოთა ნაკრების ყველა წევრი პრაქტიკულად უშეცდომოდ გამოდიოდა და მაღალ ქულებს იმსახურებდა. ისინი მთელი თავით სჯობდნენ მეტოქეებს. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ექვსის ნაცვლად, ოთხეულიც მოიგებდა ოლიმპიადას. სალამოს გუნდური შედეგები შეაჯამეს. 295,7 ქულით პირველ ადგილზე სსრკ-ის ნაკრები იყო, გდრ-ის ტანმოვარჯიშეები თითქმის ორი ქულით ჩამორჩებოდნენ. პირად ჩათვლაში არტიომოვი, ბილოზერჩევი და ლიუკინი დაწინაურდნენ. გამარჯვებული გუნდი ორი დღის შემდეგ, ნებისმიერი პროგრამის შედეგების გათვალისწინებით გაირკვეოდა. მაშინ გამოავლენდნენ ცალკეული იარაღების ფინალისტებსაც.

ვლადიმერ გოგოლაძე 20 სექტემბერს ფიცარნაგზე კვლავ პირველ-მეორე ნომრად გადიოდა. მთელი გუნდის ბედი მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული მის გამოსვლაზე, თუმცა პირად მედალზეც ფიქრობდა. რა თქმა უნდა, შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ, ძნელი იყო ლიდერების დანევა, მაგრამ ბჯენით ხტომებში მაინც შეიძლებოდა უძლიერესთა შორის მოხვედრა. თავისუფალ ვარჯიშშიც ინარჩუნებდა საპრიზო სამეულისათვის ბრძოლის გაგრძელების შანსს. თავისუფალი მას ძალიან კარგი ჰქონდა, სამმაგ სალტოსაც აქ გეგმავდა. ოლიმპიურ თამაშებზე ის მანამდე არავის არ შეუსრულებია, მაგრამ ჯერ საჭირო იყო საკუთარი ნერვების მოთოკვა.

ნაკრების ხელმძღვანელობის უსამართლობას ზღვარი არ ჰქონდა, ბოლო ოთხი დღე თითქმის არ უვარჯიშია. მოთელვას რომ მორჩებოდა და რომელიმე პროგრამის გასამეორებლად მოემზადებოდა, არკაევი აჩერებდა, ნახევრად ხუმრობით იცილებდა: „ნადი, თავი დაგვანებე, ეს შენ არ გჭირდება, ხელს ნუ გვიშლი, მე მრავალჭიდლებთან ვმუშაობ“. მას აბსოლუტურ პირველობაშიც ერთ-ერთი მოსკოველისთვის ჰქონდა ოქრო გათვალისწინებული, ალბათ უფრო ბილოზერჩევს უგეგმავდა.

როგორც ჩანს, ვლადიმერ გოგოლაძემ მაინც ვერ მოახერხა ბოლომდე დანყნარება. ამასთან, თავისუფალი ვარჯიშის შესრულება რომ დაიწყო, სწორედ იმ დროს იარალიდან იარალზე გუნდების გადასვლის ცერემონია დაემთხვა. მუსიკა უკრავდა და ხელს უშლიდა. კომბინაცია კარგად გაიარა, სამმაგი სალტოთი მაყურებლების ოვაციებიც დაიმსახურა, თუმცა ვარჯიში ისე ბრწყინვალედ ვერ დაასრულა, როგორც სურდა და ფინალში ვერ შევიდა. სამაგიეროდ, ბჯენით ხტომებში დაიმსახურა მაღალი ქულები და იმ საუკეთესო რვა ტანმოვარჯიშეს შორის მოხვდა, რომლებიც ამ იარალზე მედლების კომპლექტს გაინაწილებდნენ. რაც მთავარია, ლადომ თავისი როლი პირნათლად შეასრულა. გუნდური გამარჯვებისთვის თავი არ დაუზოგავს, ბოლომდე დაიხარჯა და საბჭოთა ნაკრების სხვა წევრებთან ერთად, ოქროს მედალი ღირსეულად მოიპოვა.

ქართველთათვის პირველ, ჰელსინკის თამაშებზე მზია ჯუღელის ოლიმპიური ოქროს ჯილდოს შემდეგ, ჩვენს ტანმოვარჯიშეებს ასეთი წარმატებებისთვის აღარ მიუღწევიათ.

ოლიმპიონიკები ძველ საბერძნეთშიც და ახლაც, განსაკუთრებული პატივით სარგებლობენ. სპორტულ მიღწევათა შორის, ეს გამარჯვება უმაღლესია. ანტიკური თამაშებიდან დღემდე, ოლიმპზე ასვლა ყველა ათლეტის ოცნებაა და გამარჯვებულთა ბედნიერებაც საოცრად დიდია. როგორც თავად ჩემპიონები ამბობენ, სიტყვით ამის ახსნა შეუძლებელია.

ბედნიერება უცნაური გრძნობაა. მას ვერც ხელით შეეხები, ვერც თვალით დაინახავ, არც გემო აქვს და არც ფერი. ბედნიერება გულით უნდა იგრძნო, ის შენში უნდა „ჩაჯდეს“. კიდევ ორი განსაკუთრებული შტრიხი აქვს ამ ჯილდოს, მისი შეფასება შეუძლებელია, ხოლო ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული — სამუდამო.

ვლადიმერ გოგოლაძე: „ამ გრძნობის ახსნა არც მე არ შემიძლია. მახსოვს, როდესაც კვარცხლბეკზე ვიდექით და გვაჯილდოებდნენ, სიამაყის და შვების გრძნობა მქონდა. ძალიან დაღლილი ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გუნდი ტურნირის ფავორიტი იყო, მაინც ვნერვიულობდით. არკაევი ცდილობდა მოთელვის დროს დაგვეხარჯა ზედმეტი ემოციები, მაგრამ რა დონის ასპარეზობაც არ უნდა ყოფილიყო, ყველანი ვლელავდით. ასეც უნდა იყოს, ემოციებიც საჭიროა, უფრო მობილიზებული ხარ და შეჯიბრების რიტმშიც ჯდები.“

იმ მომენტში, მედალი რომ გადმომცეს, გავიფიქრე: „ხომ მივალნიეთ მიზანს, მე და ჩემმა მწვრთნელმა მაინც დავამტკიცეთ, რომ ღირსნი ვიყავით ამ გამარჯვების.“

თოთხმეტი წელი ერთად ვინვალეთ, მეც ბევრ რამეზე ვთქვი უარი და ნოლიკომატ. ეს ჯაფა ნამდვილად ღირდა საბოლოო გამარჯვებად. ძალიან კარგი გრძნობა იყო.

ჯერ კიდევ დაჯილდოების ცერემონიამდე, ბოლო იარაღზე — ღერძზე ვარჯიში რომ დავამთავრე, არკაევი მოვიდა და მითხრა: „ლადო, გილოცავ. შენი საქართველო კიდევ დიდხანს იამაყებს ამ ოქროს მედლით.“

მესიამოვნა, თუმცა გულიც დამწყდა. სეულში გუნდურის გარდა, ღერძზეც და თავისუფალ ვარჯიშშიც მედლები უნდა ამეღო. პრაქტიკულად ნამართვეს ის, რაც მეკუთვნოდა. წლების განმავლობაში სხვადასხვა რანგის ტურნირებში სტაბილურად გამოვდიოდი. ბჯენითი ხტომების ფინალში შემთხვევით მოვხვდი, არკაევს ეს არც ჰქონია გათვალისწინებული, მაგრამ სავალდებულოში ძალიან ლამაზი ნახტომი გამომივიდა. ფინალში კი მეორე კომბინაციის გაკეთება იყო საჭირო, თუმცა მეორე ვარიანტი კარგად არც მქონდა დამუშავებული. ჩუსტები ჩავიცვი ფეხი რომ არ გამცურებოდა, მაგრამ ცოტა დიდები იყო და დახტომის დროს ორივე გამძვრა. საჭირო ქულები ვეღარ მოვაგროვე და მერვე ადგილს დავჯერდი.

ფინალში ჩემთან ერთად სერგეი ხარკოვი გამოდიოდა. ვატყობდი, ლეონიდა არკაევს მისთვის კიდევ ერთი მედალი უნდოდა. მახსოვს, გამორბენის დროს არკაევი მეძახოდა: „ნელა, ნელა გამოიქეციო.“ გამართული ტანით საღტო უნდა შემესრულებინა, 540-გრადუსიანი ტრიალით. ეს ძალიან რთული ვარჯიშია და პირიქით — დიდი სიჩქარე მჭირდებოდა, ის კი არასწორ მითითებებს მაძლევდა.

დიდი სპორტი ყოველთვის პოლიტიკის ნაწილია. ასე იყო ჩემ დროსაც და ასეა ახლაც. რა თქმა უნდა, ოლიმპიური ოქროს მედლის მოპოვებით მეც და ჩემმა გულშემატკივრებმაც ძალიან გავიხარეთ. მეამაყებოდა, რომ ქართული ტანვარჯიშული სკოლა არ შევარცხვინე, თუმცა ობიექტურად მეტს ვიმსახურებდი.

ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს. არკავეი მოსკოველი მწვრთნელი იყო, მას იმ პერიოდში საბჭოეთის ქვეყანაში მოქმედი დაუნერგელი კანონები უნდა დაეცვა. ისიც ვიცი, ახლა ყველას თბილად გვიხსენებს, მაგრამ მაშინ ძალაუფლებას ფლობდა და საკუთარი შეხედულებით ანაწილებდა მედლებს. ერთი ოქრო, გუნდურის, ჩემთვისაც გაიმეტა. კონტრასტების კაცი იყო, ჩემს სპორტულ კარიერაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა — დადებითიც და უარყოფითიც. მე და დიმა ბილოზერჩევა ტანვარჯიშს რომ თავი ადრე დავანებეთ, ესეც მისი „დამსახურებაა“.

ოლიმპიადის შემდეგ, ეშერაში ჩხუბი მოგვივიდა აფხაზებთან. შვიდნი თურვანი იყვნენ. უბრალო რამეზე აგვიხიროდნენ და ვცემეთ. ამის გამო, რატომღაც არკავემა ბოდიშის მოხდა მოგვთხოვა. მართლები ვიყავით, საბოდიშო არაფერი გვქონდა და ორივენი წამოვედით.

ბოლოს, 1989 წლის საკავშირო ჩემპიონატზე მოვიპოვე ვერცხლის მედალი. ახლა დიმაც ამერიკაშია, მისი ბიჭი კი აშშ-ის ახალგაზრდულ ნაკრებში ერთ-ერთი საუკეთესოა.

მაშინ, მინსკის დასკვნით შეკრებაზე, სეულის ოლიმპიადისთვის 14 ტანმოვარჯიშე ვემზადებოდით. მათგან 12 დღეს დასავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწეობს და საკმაოდ წარმატებითაც. ვალერი ლიუკინის ქალიშვილი, ანასტასია, 2007 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ხოლო ვლადიმირ არტიომოვის პატარა ვლადიმირი, აშშ-ის გუნდში გამოდიოდა.“

ლადოს გამორჩეული ოლიმპი

გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ნაკრების გამარჯვების მეორე დღესვე, იმ პერიოდის პოპულარული საკავშირო გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ წერდა, რომ ყველაზე მორიდებული ვლადიმერ გოგოლაძისთვის საშუალება რომ მი-

ვლადიმერ გოგოლაძე და
არნოლდ კვეტენაძე
თბილისის აერობორტში.
1988 წელი



ეცათ, აბსოლუტურ პირველობასაც დამაჯერებლად მოიგებდა. მაგრამ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე მან საკუთარი სიამაყე დროებით მოთოკა და იმ თანმიმდევრობით შეასრულა ვარჯიშები, რომელიც ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, ლეონიდ არკაევმა დაადგინა.

არკაევმა სახალხოდ მხოლოდ ოლიმპიადის შემდეგ აღიარა, რომ მას დიდი უპირატესობით, გამანადგურებელი სხვაობით სჭირდებოდა იაპონელების დამარცხება. ამ დღისკენ იგი თხუთმეტი წელი მიდიოდა. ასეც მოხდა, იაპონიის ნაკრები მესამე ადგილზე აღმოჩნდა, გუნდური ვერცხლი კი გდრ-ის ტანმოვარჯიშეებმა მოიპოვეს.

ამბიციურ მწვრთნელს ყველასთვის უნდოდა დაემტკიცებინა, რომ ის მთელ მსოფლიოში საუკეთესო სპეციალისტია და ლენინის ორდენითაც ტყუილად არ დაუჯილდოებიათ. მეტოქეების „ბეჭებზე დასადებად“ მას ლიუკინგოგოლადის სამმაგი სალტო უნდა გამოეყენებინა. მისი ჩანაფიქრით, ეს რთული ელემენტი ოლიმპიადაზე პირველებს აუცილებლად საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს უნდა შეესრულებინათ, მაგრამ მიკროტრავმის გამო აღმა-ათელს ამას ვერ ანდობდა. ლადო მის ერთადერთ კოზირად რჩებოდა.

სეულის თოთხმეტათასიან დარბაზში ხშირად ისმოდა ოვაციები. ტრიბუნების აღტაცებული შეძახილები ლადოსაც ერგო. ნებისმიერ პროგრამაში მსაჯებიც გულუხვობდნენ. უმაღლესი, ათქულიანი შეფასება იმ საღამოს მათ შვიდჯერ გაიმეტეს, თუმცა გამხსნელთათვის ეს ვერაფერი ნუგეში იყო. ვლადიმერ გოგოლაძემ და არნოლდ კვეტენაძემ კი თბილისში მხოლოდ ერთი ოლიმპიური ოქროს მედალი ჩამოიტანეს.

ოლიმპიურ ჩემპიონებს ზოგჯერ კამკაშა ვარსკვლავებს ადარებენ. ალბათ ასეც არის, მათი ბრწყინვალეობა არასდროს არ ფერმკრთალდება და წლების შემდეგაც, ის დაუფინყარი გამარჯვება ჩვენთვის, ყველასთვის, სასიამოვნო მოგონებად რჩება. თუმცა შესაძლოა ბევრს არც უფიქრია, რა ტიტანური შრომა, ხშირად კი ბრძოლაა საჭირო ოლიმპზე ასასვლელად.

ლადომ და მისმა მწვრთნელმა ეს მძიმე გზა თავიდან ბოლომდე ერთად გაიარეს. მათი ოლიმპი ამითაც გამორჩეულია.

1991 წლის გაზაფხულს ვლადიმერ გოგოლაძე და არნოლდ კვეტენაძე ამერიკაში წავიდნენ. სწორედ იმ პერიოდში დაიშალა საბჭოეთის დიდი სპორტი. ლადომ ძველ ნაცნობ ქალაქ ფეირფაქსში პროფესიონალ ტანმოვარჯიშე-

თა პირველ მსოფლიოს ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. ფეიერფაქსში სე-
ულის ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონი, ვლადიმირ არტიომოვი და სამი
ოქროს მედლის მფლობელი, დიმიტრი ბილოზერჩევიც ასპარეზობდნენ. ობი-
ექტურმა ჟიურიმ თავისუფალ ვარჯიშში ვლადიმერ გოგოლაძე და მისი „დე-
ლასალი“ აღიარა საუკეთესოდ...

ვლადიმერ გოგოლაძე: „ჩინოვნიკების მიერ ბოძებული პრივილეგიებით
მანამ სარგებლობ, ვიდრე მედლების აღება შეგიძლია. შემდეგ ერთბაშად მე-
სამეხარისხოვანი ხდები. არც იმ „ფორჩიან კანფეტებს“ გაიმეტებენ და აღარც
დარბაზში შეგიშვებენ. რა უნდა მექნა? იძულებული გავხდი იქაურობას გავ-
ცლოდი.

ოცი წელია უკვე ჩიკაგოს მახლობლად ვცხოვრობ. „კრისტალის ტბა“
ჰქვია ჩვენს ტანვარჯიშულ სკოლას. თავიდან ძალიან გამიჭირდა, მაგრამ შემ-
დეგ ჩემი ძმა ჩამოვიდა, მას მოჰყვა ჩემი ბავშვობის მეგობარი, ძალიან კარგი
ტანმოვარჯიშე ლევან სისაურიც, ვისთან ერთადაც გუნდური ბრინჯაო და-
ვიმსახურეთ ხალხთა სპარტაკიადაზე. ახლა აქ კარგი პირობები გვაქვს, არც
წარმატებები გვაკლია, თუმცა ქართველ კაცს საქართველო უყვარს და ყვე-
ლას მანდ გვირჩევნია ყოფნა. ალბათ როდესმე დავბრუნდებით. მანამდე კი
აქაურ ბავშვებს ვასწავლი იმას, რასაც თხუთმეტი წლის განმავლობაში არ-
ნოლდ კვეტენაძისგან თავად ვსწავლობდი. ახლახან გავიგე, რუსუდან სიხა-
რულიძეც ამერიკაში ჩამოსულა და აქაურ გოგონებს ავარჯიშებს.

ჩვენს სკოლაში ჯერჯერობით მაღალი დონის ოსტატები არა გვყავს,
თუმცა წამოიზრდებიან და კარგი შედეგებიც ექნებათ, მაგრამ ჩემი ოცნება
სხვაა — საქართველოში მინდა გავზარდო ჩემპიონები.“

ვლადიმერ გოგოლაძე

დაიბადა 1966 წლის 18 აგვისტოს თბილისში. სპორტული ტანმოვარჯიშე. სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1988), ევროპის ჩემპიონატის ორგზის მესამე პრიზიორი (1985 — მრავალჭიდი და ორძელი), ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1984 — თავისუფალი ვარჯიში და ღერძი) და ვერცხლის პრიზიორი (1984 — მრავალჭიდი), სსრკ ხალხთა IX სპარტაკიადის (1986) ჩემპიონი (ღერძი). მსოფლიოში პირველმა შეასრულა სამმაგი მალაყი. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი.



VLADIMER GOGOLADZE

Artistic gymnast, was born on August 18, 1966 in Tbilisi. He is a champion of the Olympics in Seoul (1988) in the team event, twice bronze medallist of the European championship (1985 all-round competitions and parallel bars), twice world champion among the youth (1984- floor exercise and high bar) and silver medallist (1984- all-round competitions). He was champion of the 9th USSR sports and athletics meeting (1986 – high bar). He was the first in the world to perform the triple back at the 1988 Olympics. He was the USSR Honored Master of Sports. Gogoladze was decorated with Vakhtang Gorgasali Order of the 2nd class and Order of Honor.